# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 10 მაისი 2003 №84 (1855) | ფასი 50 თეთრი


**თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება ქართული დემოკრატიის გადარჩენაა!**

**საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“**

# 38 ვინ აფრინდება შევარდენზე?



**ჯანი კარნევალი**

დინამოს დამარცხებით ორ კურდღელს დავიჭერთ: უეფას თასის საგზურსაც დავიბევებთ და არც ჩემპიონობა იქნება შორს



## ვიტ ჯორჯია VS დინამო



**ივო შუშაკი**

დინამო მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს. ვინც მხოლოდ არწაგებაზე ფიქრობს, მარცხისთვისაა განწირული

# მანუჩარ პირველი

## მარკოიშვილის საფინალო 8 წუთი



REUTERS ბარსელონიდან

ბენეტონელმა დენის მარკონატომ „სიენას“ 12 ქულა ჩაუგდო

| Euroleague Final four | |
|---|---|
| ბენეტონი | 65 |
| სიენა | 62 |
| ბარსელონა | 76 |
| ცსკა | 71 |

*მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონი“ ევროლიგის ფინალშია. სანამ ქართველები საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის მილანური ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის და კახა კალაძის ფინალში ხილვას ველით, სხვა იტალიური კლუბი სხვა ლიგის ფინალში გავიდა და სხვა ქართველიც გაიყოლია. ტრევიზოს „ბენეტონმა“ გუშინ ბარსელონაში გამართული ოთხთა ფინალის ნახევარფინალში 65:62 დაამარცხა იტალიურივე „სიენა“. მანუჩარ მარკოიშვილმა რვა წუთით ითამაშა. ახლა იგი ევროლიგის ფინალის მონაწილე პირველი ქართველი გახდება.*

*გუშინვე გაირკვა ფინალში „ბენეტონის“ მეტოქე. 9 მაისი ამჯერად დამარცხების დღე გამოდგა რუსული არმიისთვის. ოთხთა ფინალის მასპინძელმა „ბარსელონამ“ სარეკორდოდ ბევრი, თითქმის 17 ათასი გადარეული კატალონიელის ღრიანცელში 76:71 დასცა მოსკოვის ცსკა და მთავარი ევროთასისთვის „ბენეტონთან“ გენერალური ბრძოლის უფლება მოიპოვა.*



REUTERS ბარსელონიდან

მანუჩარ მარკოიშვილი ძირითადად სკამზე იჯდა, ან სკამთან იდგა, მაგრამ 8 წუთში თავისიანებს 3 მოხსნა მაინც მიაშველა



*დღეს საქართველოს ნაკრების კაპიტნის, გიორგი ნემსაძის დაბადების დღეა. ახლა „დანდიში“ მოთამაშე ნახევარმცველი ოცდათერთმეტი წლისა გახდა.*

*ხუთი წელიწადია, რაც ნემსო ნაკრების კაპიტანია — მწვრთნელები იცვლებიან, მაგრამ საკაპიტნო სამკლავურს კვლავ გიორგი ნემსაძეს აბარებენ. ეს მრავალ საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ამბავზე მეტყველებს. თუნდაც იმაზე, რომ ნემსო ფეხბურთისთვის დახარჯული კაცია და თუნდაც იმაზე, რომ ნემსო გამორჩეული ხასიათის, ალალი და სამართლიანი პიროვნებაა. ძნელია, რომ მისი თამაში მისი პიროვნებისგან გამოაცალკევო, ამიტომ, თვით ყველაზე უიღბლო მატჩებშიაც გულშემატკივარი არ არის მკაცრი გიორგი ნემსაძის მიმართ. ნემსოს ამ ნაკრებში იმდენი ჭირი და ლხინი უნახავს და იმდენი გადაუტანია, რომ ის მის ერთ-ერთ სიმბოლოდაც ჩაითვლება. ბოლო სიხარული რუსეთთან გამარჯვება იყო. ცხადია, ნემსო კვლავ კაპიტანი გახლდათ.*

*გიორგი ნემსაძეს ბევრგან უთამაშია: თბილისის, ლანჩხუთის, საარბრუკენის, ტრაბზონის, რეჯო ემილიას, ციურიხის, დანდის გუნდებში. ის ფეხბურთით ცხოვრობს და მოგზაური ფეხბურთელია, უკვე ოცდათერთმეტი წლისაა და თამაშთან გამოთხოვებას არ აპირებს. ნემსოს დანდიში შევეხმიანეთ, სადაც მალე დასრულდება შოტლანდიის ჩემპიონატი, რომელშიაც გიორგი ნემსაძე მესამე სეზონს ასრულებს*

# მოჭირნახულე

## ახალი თაობის ძველთაობელ

## კაპიტანს ახალგაზრდობა არ ეთმობა

— 31 წელი ის ასაკია, ფეხბურთელს უნებურად კარიერის დასრულებას რომ აფიქრებინებს. შენ რას იტყვი?

— 31-ის კი ვარ, მაგრამ ძალ-ღონეს არ ვუჩივი. სტაბილურად ვთამაშობ და კარიერის დასრულებაზე სერიოზულად არც დავფიქრებულვარ. ისე კი, მხოლოდ ფეხბურთში არა, ცხოვრებაშია ხოლმე მომენტები, როცა სჯობს, სხვის ნათქვამს დაასწრო და მოსალოდნელს ერთი ნაბიჯით გაასწრო. ვიდრე კარისკენ მიგითითებენ, ეს თავად უნდა გააკეთო, შენი შესაძლებლობები შეაფასო და ტრიბუნიდან სტვენას არ დაელოდო.

**— როგორ ფიქრობ, კიდევ ოთხ-ხუთ წელიწადს შეძლებ თამაშს?**

— რატომაც არა. ყოველ შემთხვევაში, შოტლანდიური პრემიერლიგისა და ამ დონის სხვა ქვეყნებში 35-36 წლის ფეხბურთელები მრავლად თამაშობენ.

**— „დანდის“ კონტრაქტით ორი წელი კიდევ ეკუთვნი. ჩავთვალოთ, რომ ეს შენთვის კარიერის ბოლო გუნდი არ არის?**

— ვერ გეტყვით, ვნახოთ. თუ უკეთეს გუნდში გადასვლის შანსი მომეცა, აქედან წასვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი.

**— ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ რა უნდა აკეთო?**

— იქამდე მოვიფიქრებ. ეს ერთი და ორი დღის საქმე არ არის.

**— მწვრთნელობაზე რა აზრის ხარ?**

— სერიოზულად არ დავფიქრებულვარ.

**— „დინამო“, „გურია“, „შევარდენი“, „ტრაბზონი“, შვეიცარიული კლუბები, იტალიური სერია B-ს „რეჯინა“ და „დანდი“ — გული არ გწყდება, რომ უფრო მაღალი დონის გუნდებში არ გითამაშია? არადა, სპეციალისტები ამბობდნენ, ნემსაძეს დიდი მომავალი აქვსო.**

— ამას მართლაც ძალიან განვიცდი. შემეძლო, როგორ არ შემეძლო გაცილებით უკეთეს გუნდებში თამაში, მაგრამ ეს რომ ვერ გავაკეთე, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავს ვადანაშაულებ და მერე სხვა ხელის შემშლელ ფაქტორებსაც ვიხსენებ. როცა 20-22 წლის ვიყავი და ჩემი კარიერა იწყებოდა, მაშინ ქართული ფეხბურთი ევროპულისგან იზოლირებული იყო. არადა, 20-22 წლის ბიჭებზე მაშინაც, როგორც ახლა, ნადირობდნენ. ყველა კლუბს ამ ასაკის ფეხბურთელის ხელში ჩაგდება სურდა. ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ ჩემმა თაობამ გაკვალა გზა ევროპაში. გამოუცდელები ვიყავით, წარმოდგენა არ გვქონდა აგენტებზე. ვინ იყვნენ ისინი, რას აკეთებდნენ, ჩვენთვის ჩინური იყო. მეც სწორედ იმ პერიოდმა გამტეხა, დაბრკოლებებს მომზადებული ვერ შევხვდი და ამით ჩემს თავს ბევრი დავაკელი. ისეთი პროფესიონალი ვერ ვიყავი, როგორებიც ახლა იზრდებიან. მაშინ ქართულ ფეხბურთს, სწორედ იზოლაციის გამო, არავინ იცნობდა, დღეს კი იქით ეროვნული გუნდია, ევროტურნირები, ქართველები ევროპაში მრავლად ვთამაშობთ... მოკლედ, ინფორმაცია აქვთ და უფრო იოლია საქართველოდან პირდაპირ საშუალო ევროპული დონის გუნდში გადასვლა, იქიდან კი დიდ გუნდში მოხვედრა. ახლა რომ ვიწყებდე კარიერას, დარწმუნებული ვარ, გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს შევძლებდი.

**— 10-12 წელია, სერიოზულ ფეხბურთს თამაშობ, ყველაზე ცუდად რა გახსენდება?**

— შევცდი, როცა შვეიცარიულ „გრასჰოპერში“ გადავედი და ის ნაბიჯი დღემდე ვერ მომინელებია. საქმე ის იყო, რომ იტალიურ „ლეჩესთან“, რომელიც მაშინ სერია A-ში თამაშობდა, კონტრაქტი უკვე გამზადებული მქონდა, კალამი ხელში ავიღე და ხელი უნდა მომეწერა, როცა შვეიცარიიდან დამირეკეს. „გრასჰოპერმა“ უკეთესი პირობები შემომთავაზა. ყველაზე დიდი შეცდომა იყო ჩემს კარიერაში. აჯობებდა, „ლეჩეში“ დავრჩენილიყავი.

**— ყველაზე სასიამოვნო წუთები?**

— ეს ამას წინათ იყო, როცა რუსეთი დავამარცხეთ. მახსოვს, 1981 წლის 13 მაისს როგორ ზეიმობდა თბილისი, თუმცა ყოველივეს ისე ვერ განვიცდიდი, როგორც მაშინდელი დინამოელები. 30 აპრილის მოგების შემდეგ კი უზომოდ გავიხარეთ. ბედნიერი ვარ, რომ ამ ზეიმის ერთ-ერთი მონაწილე ვიყავი. ეს ნათელი წერტილია ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში.

**— უკვე განვლილი ამბებია და მოდი, გვითხარი, რომელი ტრანსფერები ჩაგეშალა?**

— ესპანური „ატლეტიკო“ და ინგლისური „არსენალი“ მეპატიჟებოდნენ თავის დროზე. სამწუხაროდ, ამ ტრანსფერების მოგვარება თითქმის გადაწყვეტილი რომ მეგონა, სწორედ მაშინ ჩაიშალა. ეს დიდი გუნდები ვახსენე, თორემ წინადადებები ბევრი მქონდა.

**— ხუთი წელიწადია ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლავურს ატარებ, ძნელია ნაკრების გაძღოლა?**

— ადრე განსაკუთრებულ დატვირთვას ვერ ვგრძნობდი. ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ჯამარაული, ყაველაშვილი და მე ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ჩვენმა ურთიერთობამ კაპიტნობა გამიიოლა. სიტყვა ყველას ერთნაირად გვეთქმოდა და სამკლავურის ტარებით რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვგრძნობდი, თუმცა სასიამოვნო იყო. რუსეთთან მატჩისთვის კი გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა და მათ მხარდამხარ პირველად ვითამაშე. პასუხისმგებლობაც მეტი ვიგრძენი. ეს, ალბათ, ასაკმაც მოიტანა, 31 წლის არ ვარ?

**— სწორედ იმ თაობას, წელან რომ გვარები ჩამოთვალე, ნაკრებში სერიოზული წარმატება არ ჰქონია. ამას რითი ახსნი?**

— ახლა მიჭირს მიზეზებზე ლაპარაკი. საამისო დასკვნებისთვის კარგად უნდა დაფიქრდე. დღესდღეობით ვერ ვიტყვი, წარუმატებელი თამაში რისიბრალია, უფრო სწორად, ამომწურავად ვერ გიპასუხებთ. რამდენიმე მიზეზის ჩამოთვლა ახლაც შეიძლება, მაგრამ აჯობებს, ამ თემაზე მომავალში ვისაუბროთ.

**— ორი ვაჟისა და ქალიშვილის მამა ხარ. ბიჭები შენს გზას მიჰყვებიან?**

— ორივე ვარჯიშობს. ვაჟიკო 12 წლისაა, თორნიკე მასზე ორი წლით უმცროსი, სოფიკო კი ნაბოლარაა, 4 წლის. როცა დრო მაქვს, ბიჭებს თავადაც ვავარჯიშებ. ისე კი, საფეხბურთო სკოლაში დადიან.

**— კოჭებში თუ ეტყობათ ფეხბურთელობა?**

— ეტყობათ, როგორ არა. ვაჟიკოს საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს. ბიჭები ფეხბურთელობას თუ გადაწყვეტენ, მამას საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

**— შოტლანდიაში დაბადების დღეს ქართულად აღნიშნავ?**

— „დანფერმლაინთან“ მატჩის მერე შინ ქართველ სტუმრებს ველი და, რა თქმა უნდა, ჩვენებურად მოვილხენთ. საღამოს კი იუბილის აღნიშვნას გუნდთან ერთად ბარში გავაგრძელებ.

**კობა ინასარიძე**



გუშინ ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე 31 წლისა შესრულდა

# კვარაცხელიამ მადრიდში დევიდ ბექემი ნახა



სერგო კვარაცხელიას ევროპაში ასე ვერ ელაპარაკებიან

„დინამო“ — „ლოკომოტივის“ სათასო დუელის დასრულებისთანავე რკინიგზელთა პერუელი თავკაცი მსაჯ სერგო კვარაცხელის აქებდა. აბა, ის თამაში რა ძნელად განსასჯელი იყო, რომ ცაკარიასი ზუგდიდელი არბიტრის გადაწყვეტილებებს ალეფრთოვანებინა. თურმე პერუელს 30 აპრილის ესპანეთი — ეკვადორი ერთ-ერთ ესპანურ ტელეარხზე უნახავს და კვარაცხელიას მსაჯობაც მაშინ მოსწონებია.

ისე, საკვირველია ჩვენებურ მსაჯთა ყოფა. სერგო კვარაცხელია ესპანეთში სჯიდა. მის თვალწინ ვარსკვლავთცვენა იყო. მას შეეძლო კანისარესი დაეჩქარებინა, სალგადო და ელგერა დაეჯარიმებინა, მორიენტესისთვის თითი დაექნია — ნუ ეშმაკობო. ყვითელი ბარათიც ხომ გვარიანად აფრიალა, ვალენსიელი ბარახა და ეკვადორელები — ტენორიო, აგინაგა და ვიქტორ სალასი ზუგდიდელი მსაჯის „რისხვას“ ვერ გადაურჩნენ.

ნათქვამია, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, სერგო კვარაცხელიას, ვისაც 30 აპრილს ესპანელები და ეკვადორელები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ეროვნულ ჩემპიონატში შეიძლება შავი დღე აყარონ, ანაც ნახევარი გუნდი საცემად გამოუდგეს. ეს სამწუხარო ფაქტია და ვერსად გავექცევით.

მოდით, თავად სერგო კვარაცხელიას კომენტარი მოვისმინოთ, რომელიც 30 აპრილს მადრიდში, „ვისენტე კალდერონის“ ხასხასა მოედანზე, მართლაც პირველი კაცი იყო. ნამატჩევს ქართულმა სამსაჯო ბრიგადამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

— ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილია ასეთი მატჩების განსჯა. ყველა ფსიქოლოგიური ტვირთისგან ერთბაშად თავისუფლდები. არავინაა შენი შემწუხებელი, ფიზიკურად ხომ დაცული ხარ, იცი, არავინ გამოგეკიდება, არავინ შეგაგინებს და არც შიშობ, ემანდ თავზე მინის ბოთლი არ გადამამსხვრიონ ან ქვა არ მომხვდეს ზურგზეო.

ფეხბურთელები მსაჯის გადაწყვეტილებებს ემორჩილებიან, არავინ გაგექაჩება, თუ მაინცდამაინც ვინმე უკმაყოფილო გამოერევა, ისიც მორიდებით გელაპარაკება. ესპანელები თამაშს უპრობლემოდ იგებდნენ და ჩინებულ ხასიათზე მყოფებს საპრეტენზიოც არაფერი ჰქონდათ. მე უფრო სტუმრებისა მიკვირდა, 0:4 წააგეს და თითქმის არც ერთ ჩასტვენაზე არ მსაყვედურობდნენ.

მხოლოდ ერთ რამეზე დამწყდა გული, იმ დროისთვის რეალელი რაული ტრავმირებული გახლდათ და არ უთამაშია. დიდი ფორვარდის უშუალოდ ცოცხლად მოედანზე ხილვა მეწადა, იქნებ სიმბოლურად ერთხელ მაინც დამეჯარიმებინა.

შანსი მქონდა და მადრიდში ყოფნისას „სანტიაგო ბერნაბეუც“ დავათვალიერე საკლუბო მუზეუმში გაოცებული დავდიოდი, იქ ყველა წვრილმანიც კი დიდი საფეხბურთო ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ვიტრინებში „რეალის“ გამოჩენილი ვარსკვლავების მაისურები. ელაგა, მხოლოდ ერთი იყო თავისუფალი. თარჯიმნის მეშვეობით მუზეუმის დირექტორს დავეკითხე, ამას ბექჰემის მაისურისთვის ხომ არ ამზადებთ-მეთქი. გაიცინა და, გამორიცხული არაფერიაო, მიპასუხა.

**მამუკა ძგანტალიანი**

## გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა XXXII ტური**

ლიუბეკი 0:1 უნიონი

დუისბურგი 2:0 როიტლინგენი

აინტრახტი 4:1 ვალდჰოფი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXX ტური**

ბაბელსბერგი 4:2 კიოლნი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური**

ერფურტი 0:0 ბაიერნი (მ)

## ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი XXXI ტური**

ჰერენვენი 2:1 გრონინგენი

როდა 1:0 როზენდალი

**მეორე დივიზიონი XXXI ტური**

ვოლენდამი 0:0 ტელსტარი

ვენლო 3:1 ეინდჰოვენი

ოსი 1:2 სპარტა

ჰაარლემი 1:0 სიტარდი

დენ ბოსხი 3:1 დორდრეხტი

ემენი 3:2 ჰერაკლესი

ჰელმონდი 3:0 კამბური

ვეენდამი 2:2 მაასტრიხტი

## თურქეთი

**სუპერლიგა. XXXI ტური**

ფენერბაჰჩე 1:0 კოჯაელი

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი XXXVI ტური**

მეცი 1:0 გრენობლი

ტულუზი 0:1 გენიონი

## იტალია

**სერია B. XXXIV ტური**

ბარი 2:1 კატანია

## პორტუგალია

**I ლიგა. XXXI ტური**

ბოავიშტა 1:0 ბეირა მარი

## პოლონეთი

**XXV ტური**

გროცლინი 1:1 ვისლა

## რუსეთი

**პრემიერლიგა. VIII ტური**

კრილია 3:0 ლოკომოტივი

სატურნი 2:2 ცსკა

როტორი 2:0 ურალანი

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

ფინალური ტურნირი

**A ჯგუფი. II ტური**

პორტუგალია 1:0 ავსტრია

დანია 2:0 უნგრეთი

**B ჯგუფი. II ტური**

ისრაელი 0:3 ესპანეთი

ინგლისი 0:0 იტალია

## ჰოკეი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

**ნახევარფინალი**

შვედეთი 4:1 სლოვაკეთი

კანადა 8:4 ჩეხეთი

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე ეტაპი. 7 ტური

# ვიტ ჯორჯია VS დინამო

თბილისი. შევარდენი. 11 მაისი. 18 საათი; მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: რ. შოთაძე
დისკვალიფიცირებული: გ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)

## I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 38 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 38 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:6 | 34 |
| ტორპედო | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 34 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 22 |
| კოლხეთი | 6 | 0 | 3 | 3 | 0:11 | 18 |

*ხვალ ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ზეექვსეულის გამორჩეული მატჩია, „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ მასპინძლობს და საჩემპიონო ბრძოლაში ეგებ ამ თამაშში მოპოვებული სამი ქულა გახდეს გადამწყვეტი*





ბაჩო კოპალეიშვილის ფოტოები

# რა გამოლევს სალაპარაკოს
## ცუდიდან უკეთესისკენ კარგის მოლოდინში

ვინ „ვიტ ჯორჯიას“ გულშემატკივარია, ვინ „დინამოსი“ და ვინაც არც ერთის, თუ არავის, მაგრამ ზოგადად ქართული ფეხბურთის სამომავლო კეთილდღეობის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებმნიშვნელოვანია, ვინ მოიგებს ხვალ. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენს ჩემპიონატში ასეთი მატჩები გამოერევა-ხოლმე და მათი რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

გვახსოვს დრო, როცა ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრათა მოზრდილი ნაწილი მხოლოდ იმიტომ ტარდებოდა, ოქმში რაღაც რომ ჩაწერილიყო. ეს რაღაც შედეგი იყო, ოღონდ ყოვლად უსარგებლო და უშედეგო. ასეთი თამაშები ახლაც იმართება, ოღონდ უფრო ცოტა. ასე ვთქვათ: ზეექვსეულის მატჩების ორი მეხუთედი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს შორის იმართება. ეს ცოტა არ არის. ანუ ყოველ ტურში ერთი გამორჩეული მატჩი მაინც გვხვდება.

იტყვით, თამაშის ხარისხიო... ჩვენც იგივეს ვიტყვით, საქართველოს ჩემპიონატის მატჩები დიდად ჩამორჩება იმას, რასაც ყოველდღე ტელევიზორში ვუყურებთ. ეგეც რომ არა, ყოველ ზაფხულს ევროთასის პირველივე ეტაპზე საშუალოზე დაბალი კლასის გუნდი გიგებს. მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში პრინციპულ მატჩთა სიმრავლე ერთ-ერთი პირობათაგანია კლასის ამაღლებისთვის, მით უფრო, რომ იცი — ნიჭიერი ბიჭები გვყავს. აგერ, რუსეთის მძლეველ ნაკრებში ექვსი ფეხბურთელი ეროვნული ჩემპიონატიდან იყო, ამათ მალხაზ ასათიანი და გივი დიდავაც შეგვიძლია მივათვალოთ, რაკი საქართველოდან ახალი წასულები არიან.

მთელი ეს ლაპარაკი „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ მატჩს მოვაყოლეთ. ადრე ამას არ ვიზამდით, თუნდაც იმიტომ, რომ „ვიტ ჯორჯია“ არაფერი გუნდი იყო. დღეს კი, გაიხედავ და, ჩემპიონობისთვის იბრძვის.

ან „სიონის“ თასის ფინალში გასვლა რად ღირს, ბოლნისელები მთელი ღამით ქუჩებში რომ გამოფინა. საერთოდ კი, სტადიონზე მისული ხალხის რაოდენობა ყოველთვის პროპორციულია ფეხბურთის დონისა და მატჩის მნიშვნელობისა.

დღეს სტადიონებზე ბევრი ხალხი არ მიდის, მაგრამ უფრო მეტი მიდის, ვიდრე წინა წლებში და ეს კარგის ნიშანია. მაგრამ იმავდროულად კარგის ნიშანი ვერაფრით იქნება ის გარემოება, რომ ვიღაცეებს სტადიონზე ქვის შეპარება უყვართ, ვიღაცეები ვერ ელევიან გარიგებულ მატჩებს, ვიღაცეები ვერ იხდიან ხელფასებს და ფეხბურთელებს ნაფრონტალ მოედნებზე ათამაშებენ, ხოლო ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი კვლავაც იკარგება საეჭვო კვალიფიკაციის მწვრთნელთა ხელში.

ამიტომაც, როცა ვამბობთ, ეროვნული ჩემპიონატი უკეთესი გახდაო, სწორედ უკეთესს ვგულისხმობთ და არა კარგს, რადგან კარგობამდე ძალიან გრძელი გზაა.

**გიორგი დარჯანია**



ბაჩო კოპალეიშვილის ფოტო

ჩემპიონატის საუკეთესო თანაბომბარდირი ლევან მელქაძე გოლის გატანას, ცხადია, ხვალაც შეეცდება

### ჯანი კარნევალი

უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის, ალბათ უმთავრესი ამ სეზონში. საბედნიეროდ, ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. გუშინ გიორგი ყიფიანი სიცხიანი იყო, მაგრამ დღეს უკეთესობა ეტყობოდა და საკვირაოდ ჯანზე იქნება. დისკვალიფიკაციის გამო გოჩაშვილი დაგვაკლდება, მაგრამ ეს ჩვენ მიზანს ხელს ვერ შეუშლის — „ვიტ ჯორჯიამ“ თავზეხელაღებულად უნდა იბრძოლოს „დინამოსთან“. საამსეზონოდ ჩვენი გუნდის მიზანი უეფას თასზე მოხვედრა იყო, კვირას თუ გავიმარჯვებთ, ერთბაშად ორ კურდღელს დავიჭერთ, უეფას საგზურს დავიბევებთ და არც ჩემპიონობა იქნება შორს.

ივო შუშაკს განსწავლული ბიჭები ჰყავს, „დინამო“ ძლიერი გუნდია, მასთან წარმატება გამართული სათამაშო დისციპლინით და მონდომებით უნდა მოვიპოვოთ. ცდას არ დავაკლებთ. ის, რომ საშინაო მატჩი გვაქვს, ბევრს არაფერს ცვლის. შანსები თანაბარია.

### ივო შუშაკი

— „დინამოს“ სოლიდური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ დასანანი ქულები დავკარგეთ და, ჩემდა სამწუხაროდ, დარჩენილ ოთხ ტურში გაირკვევა ჩემპიონის ვინაობა.

ხვალინდელ დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა კი ენიჭება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, საჩემპიონო ბრძოლა ბოლო ტურამდე გასტანს. პირველობის შანსი მარტო „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ კი არა, „ტორპედოს“ და „ლოკომოტივსაც“ შერჩათ და მჯერა, ისინიც თავდაუზოგავად იბრძოლებენ.

საკვირაოდ ძალიან სერიოზული მეტოქე გვყავს და მთელი მონდომებით ვემზადებით. ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ, რადგანაც ვინც მხოლოდ იმაზე იფიქრებს, რომ არ წააგოს, განწირული იქნება. ფრე დამაკმაყოფილებს თუ არა? ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი, თუ ვერ გავიმარჯვეთ, მაშინ არც უნდა დავმარცხდეთ.

### კარნევალი VS შუშაკი

ჩემპიონატში — 1:1, 1:0, 1:3
თასზე — 0:1, 1:1

### ვიტ ჯორჯია – დინამო

სულ: +4 =5 -7 16:25

ურთიერთშეხვედრების ბომბარდირები:

რატი ალექსიძე — 4
ლევან მელქაძე — 3

ხვალინდელ „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ ზუგდიდელი კახა მესხი განსჯის. მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მან დღემდე ხუთი მატჩი იმსაჯა ვეტერინართა მონაწილეობით. აქედან „ვიტ ჯორჯიამ“ ოთხჯერ მოიგო და ერთხელ ფრედ ითამაშა. „დინამოს“ მონაწილეობით მესხის ნამსაჯ სამ შეხვედრაში კი ივო შუშაკის შეგირდებმა ერთხელ მოიგეს და ორჯერ დაუზავდნენ მეტოქეს.



### დინამო | ვიტ ჯორჯია

მეორე ეტაპზე

| დინამო | ტური | ვიტ ჯორჯია |
|---|---|---|
| ტორპედო 0:1 | I ტური | სიონი 1:0<br>მელქაძე |
| ვიტ ჯორჯია 3:1<br>დარასელია (2), კვირკველია | II ტური | დინამო 1:3<br>მელქაძე |
| კოლხეთი 0:0 | III ტური | ლოკომოტივი 1:0<br>მელქაძე |
| ლოკომოტივი 3:0<br>ანჩაბაძე, ალექსიძე, ბობოხიძე | IV ტური | ტორპედო 0:0 |
| სიონი 2:1<br>ბურდული, დარასელია | V ტური | კოლხეთი 3:0<br>ადამია, გველესიანი, მელქაძე |
| ტორპედო 0:2 | VI ტური | სიონი 1:0<br>ე. მერებაშვილი |
| მ. 3; ფ. 1; წ. 2; ბ. 8:5 | | მ. 4; ფ. 1; წ. 1; ბ. 7:3 |

დარჩენილი მატჩების განრიგი

| დინამო | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| დინამო — კოლხეთი | ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია |
| ლოკომოტივი — დინამო | ვიტ ჯორჯია — ტორპედო |
| დინამო — სიონი | კოლხეთი — ვიტ ჯორჯია |

## I-VI ადგილები

ფოთი. ფაზისი. 11 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ვ. ქორიძე
დისკვალიფიცირებული: ნარსია (კოლხეთი)

თბილისი. ლოკომოტივი. 11 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — სიონი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე დირექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: ირემაშვილი, ე. გვასალია (ორივე სიონი)

## VII-XII ადგილები

რუსთავი. ფოლადი. 10 მაისი. 18 საათი

### გორდა — დილა

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: დ. გოგია

ძველი ანაგა. ცენტრალური. 10 მაისი. 18 საათი

### მილანი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; კ. თბილელი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ახკაროლლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებული: ი. შენგელია (ბათუმი)

თბილისი. იხანი. 10 მაისი. 18 საათი

### მერანი-ოლიმპი — მეტალურგი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ლ. სილაგავა, მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი
დისკვალიფიცირებულნი: მესხი (მერანი-ოლიმპი), წიქარიშვილი (მეტალურგი)

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 19 - მელქაძე | | ვიტ ჯორჯია |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 14 - დარასელია | | დინამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 25 |
| ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:2 | 21 |
| მერანი-ოლიმპი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:3 | 20 |
| გორდა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 16 |
| მილანი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 13 |
| მეტალურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:17 | 10 |

# გოგობერიშვილს ვიტჯორჯიული გემო გაახსენდა

## რეხვიაშვილზე და კობიაშვილზე ნაკლები როდი ვარ

*არიან ფეხბურთელები, რომლებსაც თვალის ერთი შევლებით ვერ შეამჩნევ. ისინი თავის საქმეს ჩუმად აკეთებენ, მაგრამ გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ.*

*თბილისის „დინამოში“ ასეთი ახლა საყრდენი ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილია. თუმც მას მეტოქის მოტყუებაც შეუძლია, კარში ორივე ფეხით დარტყმა და საერთოდ, გუნდის თამაშის წარმართვა.*

*მაგრამ ივო შუშაკმა ინება და გოგობერიშვილს, რომელსაც თავისი გუნდის მოტორს უწოდებს, არეალი შეუზღუდა — ხორვატი სპეციალისტის ამ გადაწყვეტილების განსჯა, ალბათ, უფრო „დინამოს“ საამსეზონო მონაგარით იქნება შესაძლებელი.*

*ხვალ კი „დინამოს“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის წინა ტურში გალიდერებულ „ვიტ ჯორჯიასთან“, რომლისგანაც შეიძინა კიდეც გოგობერიშვილი შარშანწინ.*

*შუშაკმა „ტორპედოსთან“ დამარცხების შემდეგ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, თუმც კომენდანტის საათის გარეშე.*

*და გოგობერიშვილი რედაქციაში ვისტუმრეთ...*



**— შუშაკის მიერ გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას ფეხბურთელები როგორ ეგუებით?**

— ამაში განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, მეტი მობილიზაცია და კონცენტრაცია მოგვეთხოვება, თორემ გუნდის რეჟიმი არ შეცვლილა — შეკრებაზე მხოლოდ თამაშის წინა დღეს გადავალთ.

**— წინა ტურში „ტორპედოსთან“ დამარცხების შემდეგ შუშაკმა რა გითხრათ?**

— „ტორპედოსთან“ მარცხი ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ამ დამარცხებამ ძალიან დაგვაფიქრა. შუშაკი კი თამაშის შემდეგ ძალიან უკმაყოფილო იყო, ისევე როგორც ჩვენ, ფეხბურთელები. „ტორპედოსთან“ მართლაც არაფერი არ გამოგვივიდა, მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ალბათ იმანაც შეგვიშალა ხელი, რომ რუსეთთან მატჩის შემდეგ რამდენიმე დინამოელმა ძალები სრულად ვერ აღიდგინა. თუმც, მთლიანად გუნდმაც ვერ ითამაშა კარგად.

**— „ვიტ ჯორჯიიდან“ „დინამოში“ რომ გადმოხვედი, მას მერე ვიტელთა შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა, მწვრთნელიც იგივე ჰყავს და ამ გუნდს კარგად უნდა იცნობდე — რას იტყოდი „ვიტ ჯორჯიაზე“?**

— „ვიტ ჯორჯია“ ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე მაშინ, როცა მე იქ ვთამაშობდი. ვიტელები შემადგენლობითაც გაძლიერდნენ და თამაშის ხარისხიც უკეთესი აქვთ. „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე გუნდისთვის. ამ შეხვედრაში ჩვენი ამბიცია და ძალა უნდა დავამტკიცოთ.

**— როგორ შეადარებდი „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“?**

— „ვიტ ჯორჯია“ ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა, ჩვენ კი უფრო მაღალი კლასით, თამაშის ხარისხით — „დინამო“ უფრო დახვეწილ ფეხბურთს თამაშობს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ასეთია. ამ მატჩში ჩვენ არაფერს არ დავუთმობთ მეტოქეს.

**— „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშისას შენ უფრო ეფექტურად გამოიყურებოდი, გუნდის თამაში მიგყავდა და გოლებიც გაგქონდა, „დინამოში“ კი თითქოს შეზღუდული ხარ...**

— გეთანხმებით, „ვიტ ჯორჯიაში“ უფრო მეტი საშუალება მქონდა შემეტია, ასე ვთქვათ, ჩემს გემოზე წავსულიყავი წინ. „დინამოში“ კი ყველაფერი სხვანაირადაა, მაგრამ საპრეტენზიო არავისთან არაფერი მაქვს — მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ გუნდს ასე სჭირდება. „დინამოში“ ძირითადად ნახევარმცველების დაზღვევა, მცველების დახმარება და ბურთის ამოტანა მევალება, ხოლო საგოლე მომენტების შექმნა და დაგვირგვინება უკვე სხვისი საქმეა.

**— ყოველივე ეს წინსვლაში ხელს არ გიშლის?**

— წინსვლაში იმ შემთხვევაში შემიშლიდა ხელს, თუ ნახევარდაცვიდან ვთქვათ, დაცვაში გამამწესებდნენ. ახლა უბრალოდ ნაკლები საშუალება მაქვს შეტევაში ჩასართველად, შეზღუდული ვარ.

**— როცა ალეკო გოგობერიშვილის გვარ-სახელმა ქართულ ფეხბურთში გაიჟღერა, „მერანში“ თამაშობდი და 19 წლის იყავი. მაშინ შენს საუკეთესო თვისებად უნივერსალიზმს ასახელებდნენ — ლიბეროდ გითამაშია, საყრდენად, გამთამაშებლად, ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე. უნივერსალური ფეხბურთელის იმიჯი შენთვის მნიშვნელოვანი არ არის?**

— როგორ არა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თუ პოზიციას შემიცვლიან, მალევე აუღებ ალღოს ახალ ამპლუას. მაგრამ სადაც ახლა ვთამაშობ, კმაყოფილი ვარ — მაინც ხომ ცენტრალური ნახევარმცველი ვარ.

**— ეროვნულ ნაკრებში მანამდეც გითამაშია, ალექსანდრე ჩივაძემაც მიგიწვია — 12 თებერვლის ამხანაგურ მატჩში მოლდოვას წინააღმდეგ სრულად ითამაშე. მოგვიანებით კი ჩივაძემ თქვა, იმ თამაშში ექსპერიმენტული შემადგენლობა იმიტომ დავაყენე, რომ ყველას და მათ შორის ფეხბურთელებსაც დაენახათ, რისი მაქნისები არიანო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩივაძე შენი თამაშითაც უკმაყოფილო დარჩა?**

— ჩივაძემ მოლდოვასთან მატჩში ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალება კი მისცა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რა პირობებში. ჩვენ, დინამოელები 24 საათი გზაში ვიყავით და მეორე დღეს თამაშმა მოგვიწია, თანაც გახურებული მოსამზადებელი პერიოდის დროს, როცა ძალიან ძნელია, შენი მაქსიმუმი გამოავლინო — ამ ფაქტორების გათვალისწინებით ვფიქრობ, მოლდოვასთან ნორმალურად ვითამაშე.

**— რუსეთთან მატჩისთვის კი შუშაკმა არ გამოგიძახა და შენზე თქვა, სანაკრებო რეზერვში მყავს, თუ ვინმე გამოგვაკლდება, იმ შემთხვევაში ვუხმობთო. მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებით ნაწყენი დარჩი?**

— რუსეთთან მატჩში ლევან კობიაშვილი და ალეკო რეხვიაშვილი ვერ თამაშობდნენ და მეგონა, რომ ნაკრებში თამაში მომიწევდა. ასე რომ არ მოხდა, ცოტა ნაწყენი დავრჩი. მაგრამ არავისზე გავბრაზებულვარ, არანაირი ბოღმა გულში არ ჩამიდია.

**— მიგაჩნია, რომ ნაკრებში რეხვიაშვილის და კობიაშვილის შეცვლა შეგიძლია?**

— რა თქმა უნდა, შემიძლია და არანაკლებ თამაშიც.

**— ნაკრებში მოსახვედრად უცხოეთში წასვლა ხომ არ გიჯობს? შენს უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?**

— პირველ რიგში საქართველოს ჩემპიონატის და თასის მოგებაზე ვფიქრობ. კონტრაქტი „დინამოსთან“ წლის ბოლოს მიმთავრდება და ჯერ აქედან წასვლას არ ვაპირებ.

**დავით თაგართქილაძე**



ალეკო გოგობერიშვილი შეტევაში ნაკლებ დროს ატარებს

# ლევან ხომერიკი: რისთვის ვითამაშო?

## ქართველი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს




**შვეიცარიული** „ვოლენის“ ქართველ თავდამსხმელ ლევან ხომერიკს თავი ძველმა ტრავმამ შეახსენა და ჩემპიონატის ბოლო ტურში „შაფჰაუზენთან“ მატჩში თავის კლუბს ვერ დაეხმარა. დღეს „ვოლენს“ მორიგი ჯახი ელის, თუმც დიდი შანსია, კვლავაც ჩვენებურის გარეშე დაუპირისპირდეს მეტოქეს.

— უეცრად ფეხში ტკივილი ვიგრძენი. სერიოზული არაფერია, გამაყუჩებლებით თამაშიც შესაძლებელი იყო, მაგრამ სადაცაა, სეზონი დამთავრდება და არ მინდა, რისკის ფასად უარესი შედეგი მივიღო. ამიტომაც „შაფჰაუზენთან“ მატჩი გამოვტოვე — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა.

„ვოლენის“ შემადგენლობაში ნათამაშებ 6 მატჩში 3 გოლის გამტანმა ქართველმა ფორვარდმა რამდენიმე დღეა, რაც ვარჯიში განაახლა, მაგრამ ტრავმა სრულად ჯერ არ მოუშუშებია და ამიტომაც, სავარაუდოდ, დღესაც ვერ ითამაშებს.

აქვე ვთქვათ, ხომერიკ-„აარაუს“ კონტრაქტს მაისის ბოლოს გასდის ყადი. შეგახსენებთ, რომ ლევანი „ვოლენში“ სწორედ „აარაუმ“ გაანათხოვრა. აქედან გამომდინარე, მას სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ, თუმც კონკრეტული ვერაფერი გვითხრა:

— ნაღდად არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას. აქ დარჩენასაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობას ჩემთვის არაფერი უთქვამს. თან „ვოლენს“ ფინანსურადაც უჭირს და რისთვის ვითამაშო? ამიტომ საქართველოში დაბრუნებაზეც ვფიქრობ. მართალია წინადადებით არც ერთ ქართულ კლუბს არ მოუმართავს, მაგრამ თუ ასეთი სურვილი იქნება, აუცილებლად დავფიქრდები. ერთი სიტყვით, სეზონის დასრულების შემდეგ უფრო ზუსტად მეცოდინება, სად ვითამაშებ.

**ბაჩა შალამბერიძე**



გიო ახვლედიანის სვეტი

# სპილოების მესაფლავე

ამ კვირაში ისე გამოვიდა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალებს საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალები დაემთხვა. მილანში გოლი ვერ გაიტანეს და გოლი ვერც ქუთაისში გაიტანეს, რითაც ის გამოვიდა, რომ საქართველოს თასის ფინალში ბოლნისის „სიონი“ გავიდა.

თასის ხიბლიც ეს არის, რომ იქ პატარა ქალაქის პატარა, თავდადებულად მოთამაშე გუნდი მოხვდეს.

„სიონს“ თუნდაც იმიტომ ეკუთნოდა ფინალში გასვლა, რომ ერთგული, ხმაურიანი და ლონიერი მაყურებელი ჰყავს.

საქართველოს არცერთ ქალაქში არ არიან ფეხბურთელები და გულშემატკივრები ასე ერთ სულ და ერთ ხორც, როგორც ბოლნისში.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ როგორ თავისებური და გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს „სიონს“, როგორი ფეხბურთით მსუნთქავი ადგილია მისი სტადიონი და რა ძნელია ნებისმიერი ქართული გუნდისთვის ბოლნისში თამაში.

„აქ თამაშობს „სიონი“ — წარწერა სტადიონზე მხოლოდ წარწერა არ არის, ეს ცოცხალი სიტყვებია, რადგან თამაში ბოლნისში ომთან ახლო მოტრიალე რამ არის.

თასის ფინალში „სიონი“ არ გამძვრალა, იქ ბრძოლით გავიდა და ახლა თბილისის „დინამოს“ უნდა შეხვდეს 26 მაისს.

უცხოეთში სიონისნაირ გუნდებს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე „ჯაიანთ ქილერებად“, ანუ გოლიათთა მკვლელებად. ეს ტერმინი განსაკუთრებულად მოქმედებს ხოლმე სათასო შეჯიბრებების დღეებში, როცა რომელიმე პატარა, დაბალ ლიგაში მოთამაშე გუნდი დიდ და ძლიერ გუნდს ამარცხებს. „სიონი“ დაბალ ლიგაში არ თამაშობს, მაგრამ მისი საკლუბო და ფინანსური სხვაობა საქართველოს ოთხ მოწინავე გუნდთან, აშკარაა. ამიტომ, ისიც შეგვიძლია ჩავთვალოთ „ჯაიანთ ქილერად“.

არგენტინაში, კორდობაში არის გუნდი „ტალიერესი“, რომელიც წლიდან წლამდე იქაური აპერტურა-კლაუსურების შუაგულში ტრიალებს. „ტალიერესს“ ერთი ცნობილი ტრადიციით გამოარჩევენ — საკუთარ მოედანზე გუნდმა შეიძლება ტოლ-სწორს ვერ მოუგოს, მაგრამ ძალიან ამწარებს დიად კლუბებს, ვთქვათ, „ბოკას“ და „რივერს“. ამიტომ „ტალიერესის“ სტადიონს ხალხი „სპილოების სასაფლაოს“ ეძახის. რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთი შორს არის არგენტინულისგან, მაგრამ „სიონის“ ამბავი ამ „ტალიერესის“ ამბავსაც მახსენებს. ძალიან კარგია, თუ რომელიმე ქართული კლუბი, პატარა და ნამდვილი, იმას შეგვაჩვევს, რომ თბილისისა და ქუთაისის დიდ გუნდებს შინ ნამდვილ თამაშს მოუწყობს.

ამას უკვე აკეთებს ბოლნისის „სიონი“. ამიტომ გავიდა თასის ფინალში.

ახლა 26 მაისს უნდა დაველოდოთ. ვნახოთ, როგორ შეებრძოლება „სიონი“ თბილისის „დინამოს“. თამაში როგორც არ უნდა დამთავრდეს, ნამდვილად შეებრძოლება.



# კარლოსმა ინტერი გრძნობებზე დაპატიჟა

*ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში „იუვენტუსისთვის" გამარჯვების გოლის გამტანი რობერტო კარლოსი, საპასუხო მატჩის წინ უკვე ჩემპიონობაზე ფიქრობს.*

**— „იუვენტუსს" 2:1 მოუგეთ. ეს კარგი შედეგია თუ არადამაკმაყოფილებელი?**

— თავისთავად მოგება ყოველთვის კარგია, თუმც ერთბურთიანი უპირატესობა ფინალში გასვლის გარანტიას არ გვაძლევს. არადა, სამი გოლის გატანას ვიმსახურებდით. ისიც ცუდია, ერთი რომ გაგვიტანეს. ამიტომ რამეს გადაჭრით თქმა შეუძლებელია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველ მატჩში თავს კომფორტულად ვგრძნობდით, ვგრძნობდით, რომ მოგება შეგვეძლო.

**— ტურინში, ცხადია, მძიმე მატჩი გელით...**

— იოლი თამაშები ხომ არც არსებობს. ზოგი ფიქრობს, რომ „იუვენტუსი" უკვე ფინალშია. მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ანგარიში ჩვენს სასარგებლოდაა და იტალიელებს, სულ მცირე, ერთი გოლის გატანა სჭირდებათ. ძალიან გაუჭირდებათ, მით უფრო, რომ ჩვენც შეგვიძლია გატანა. „რეალში" უამრავი ფეხბურთელია, რომლებსაც ნებისმიერ მატჩში შეუძლიათ ბურთის კარში შეგდება.

**— „ოლდ ტრეფორდზე" სამი გოლი გაიტანეთ. „დელე ალპიზე" ამდენივეს გატანას შეძლებთ?**

— არ მგონია. ეს სრულიად განსხვავებული თამაში იქნება. მიზეზი ისაა, რომ „იუვე" „მანჩესტერისგან" განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს და ინგლისელებზე მეტ ყურადღებას უთმობს თავისუფალი სივრცის შეზღუდვას. მაგრამ ერთიცაა — „იუვენტუსს" აუცილებლად სჭირდება გოლი და საამისოდ შეიძლება რისკზეც წავიდეს და ზურგი ცოტათი მოაშიშვლოს. ჩვენ ამის გამოყენებას ვეცდებით.

**— ეგებ ისეც მოხდეს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" თქვენი გატანილი გოლის წყალობით გახვიდეთ ფინალში...**

— ნეტავ, ეგრე იყოს. საერთოდ კი ყველა გოლი მნიშვნელოვანია. აქამდე ხომ მარტო ჩემი ერთი გოლის წყალობით არ მოვსულვართ.

**— რა იგრძენით, როცა გაიტანეთ?**

— მეორე ტაიმში კარგა ხანს ვერაფერს ვხვდებოდით და ჩემმა გოლმა ყველას შვება მოგვგვარა. თან გაითვალისწინეთ, რომ იქამდე „მალიორკასთან" 1:5 წავაგეთ. კი, ეგეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს, მაგრამ „რეალი" ზედიზედ ორი წაფორხილების უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს. ეს გოლი ამითაც იყო მნიშვნელოვანი.

**— ბოლო ხანს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" ხშირად გაისმის „რეალის" მისამართით სტვენა...**

— ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, გულშემატკივარს ყოველთვის უნდა, რომ მისმა გუნდმა თან მოიგოს, თან კარგადაც ითამაშოს. ეს ბუნებრივია, მაგრამ გუნდი ყოველთვის ასე ვერ ითამაშებს. მე რომ გულშემატკივარი ვყოფილიყავი, ხშირად დავუსტვენდი.

**— წლეულს „რეალი" დუბლს გააკეთებს?**

— თუ პრიმერადივიზიონსაც მოვიგებთ და ჩემპიონთა ლიგასაც, ეს ფანტასტიკური შედეგი იქნება. სეზონის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება და ჩვენ ამის კარგი შანსი გვაქვს.

**— ლიგის ფინალში მეტოქედ ვის ისურვებდით?**

— „ინტერს".

**— რატომ?**

— ეს ჩემი ყოფილი გუნდია. მე ვიცი, რა გრძნობაცაა ლიგის ფინალში თამაში და მსურს ჩემმა ძველმა მეგობრებმაც გამოსცადონ. მაგრამ ფინალში მინდა, რომ „რეალმა" მოიგოს.

**— თქვენთვის რომელი ჯილდო უფრო ფასეულია?**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემპიონთა თასი. ევროპაში ხომ უფრო დიდი ჯილდო არ არსებობს.

# ცოტა ფული და ბევრი ჭკუა...



ფაბიო კაპელო

ფაბიო კაპელო ამბობს, რომ მომავალი სეზონიდან მისი „რომა" სკუდეტოსთვის იბრძოლებს.

„ჩვენ ჩამოვწერეთ იმ მოთამაშეთა სია, რომლების შეძენაც გვაქვს გადაწყვეტილი და ზაფხულში უთუოდ მივხედავ ამ საქმეს — ბრძანა მწვრთნელთა შორის გამორჩეულმა „ილ მესიჯეროსთვის" მიცემულ ინტერვიუში — ეჭვი არ მეპარება, რომ თანამედროვე ფეხბურთში შექმნილი ფინანსური კრიზისი იმ კლუბებს, რომლებიც თავიანთ თანხებს გონივრულად ხარჯავენ, მომგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს. სატრანსფერო ბაზარი წარმოუდგენელ შესაძლებლობებს იძლევა და თუ ამ შესაძლებლობებს შევნიშნავთ და გამოვიყენებთ, კიდევ ერთ დიდ „რომას" მივიღებთ. დიდძალი ფული არ არის აუცილებელი".

მოგეხსენებათ, სეზონი, რომელიც ახლა დასრულების პირას არის მიმდინარე, „რომამ" წინააღმდეგობრივად ჩაატარა.

„ძალიან ბევრი გოლი გავუშვით — განმარტა კაპელომ — ამ სეზონში ჩვენი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ეს გახლდათ, რაც გუნდში ბალანსის დარღვევით იყო განპირობებული. ჩემპიონატის მოგება ძლიერი დაცვის მქონე გუნდს შეუძლია, რისი დასტურიც „იუვენტუსი" გახლავთ. ტურინელები სრულიად დამსახურებულად მიიღებენ სკუდეტოს".

მწვრთნელის აზრით, „იუვეს" ჩინებული სეზონის კიდევ ერთი მიზეზი ედგარ დავიდსია.

„შარშან ზაფხულს ძალიან მინდოდა მისი ჩემს გუნდში გადმოყვანა, მაგრამ არ მოხერხდა. იმთავითვე ვიცოდი, რომ ტურინელების ერთ-ერთი მთავარი კოზირი სწორედ დავიდსი იქნებოდა".

შემდეგ კაპელომ ახალგაზრდა გოლკიპერზე, ივან პელიცოლიზე ისაუბრა.

„მან კარგი თამაშიც გვაჩვენა და ცუდიც, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ამ მეკარის მიმართ მოთმინება გვმართებს".

ბოლოს კი „რომას" სათამაშო სქემის, სავარაუდოდ, 4-2-3-1-ით შეცვლაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

„სქემა იმ ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული, რომლებსაც შევიძენთ. 4-2-3-1 იმას ნიშნავს, რომ გუნდში გვყავს ერთი მოთამაშე, რომელიც სხვებზე ნაკლებს დარბის".

**პაპუნა ძიდია**



სწორედ ის 5-ნომრიანი მაისურა

# ჩვენი ვარელა ჩვენთან

## ურუგვაიმ ისტორია უცხოეთში არ გაყიდა

ლეგენდარული ურუგვაელი ფეხბურთელის, ოდინდელი კაპიტნისა და 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, ობდულო ხოსინეტო ვარელას მაისურა და ბუცები ურუგვაის პრეზიდენტის, ხორხე ბატლიეს საგანგებო განკარგულებით ისტორიულ ძეგლად გამოცხადდა. ეს ის მაისურა და ბუცებია, რომელიც ვარელას „მარაკანაზე" იმ დიდ ფინალში ეცვა.

საქმე კი ასეა: ვარელა შვიდი წლის წინ, 79 წლისა გარდაიცვალა, მისმა შთამომავლებმა კი ნახსენები რელიქვია აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. აუქციონი გუშინ გაიმართა და ვის ერგო მაისურა და ბუცები, ჩვენთვის უცნობია. ცხადია, ვარელას შთამომავლებს რელიქვიის გაყიდვას ვერავინ აუკრძალავდა, მაგრამ შეიქნა საშიშროება, რომ დიდი კაპიტნის დიდ ფინალში ნაცვამი ამუნიცია, შესაძლოა, უცხოელი ფუნქციონერის ხელში აღმოჩენილიყო და ქვეყნიდან გაეტანათ. სწორედ ამის ალსაკვეთად მოაწერა პრეზიდენტმა ხელი საგანგებო განკარგულებას. ისტორიული მნიშვნელობის ნივთების ურუგვაიდან გატანა აკრძალულია, ამიტომ მყიდველი ვინც გინდა იყოს, მაისურა და ბუცები ურუგვაიში დარჩება.

როგორც მოგახსენეთ, მყიდველის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, თუმც აუქციონამდე ითქვა, შესაძლოა ქვეყნის მთავრობამ ან ფეხბურთის ფედერაციამ გამოისყიდოს და კერძო პირის ხელში მოხვედრიდან საიმედოდ დაიცვასო.

**ძოტე ძეძელია**

## შვეიცარია

### A ჯგუფი. X ტური

**ბაზელი 3:1 ციურიხი**

1:0 როსი (31), 2:0 ჩიპერფილდი (44), 3:0 ხიმენესი (76), 3:1 ბასტიდა (80)

**ქსამაქსი 1:3 სერვეტი**

1:0 რეი (37), 1:1 ლონდონო (43), 1:2 დიოგო (45), 1:3 კადერი (65)

**გრასჰოპერი 5:1 თუნი**

1:0 ნუნიესი (8), 2:0 კასტილიო (36), 3:0 რ. შვეგლერი (41), 4:0 კასტილიო (59), 5:0 ნუნიესი (64), 5:1 აზიავონუ (80)

**იანგ ბოისი 3:4 ვილი**

1:0 ვონლანტენი (4), 2:0 მანინი (9), 3:0 ბერიშა (15), 3:1 მასლერი (22), 3:2 ჩალა (45), 3:3, 3:4 ლუსტრინელი (54, 66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 10 | 7 | 3 | 0 | 26:8 | 49 |
| ბაზელი | 10 | 7 | 1 | 2 | 25:15 | 46 |
| იანგ ბოისი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:18 | 31 |
| ქსამაქსი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 28 |
| სერვეტი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:15 | 28 |
| ციურიხი | 10 | 2 | 2 | 6 | 12:17 | 24 |
| ვილი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:22 | 24 |
| თუნი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:20 | 24 |

### A/B ჯგუფი. X ტური

**ლუცერნი 4:0 ვადუცი**

1:0 მუფი (16), 2:0 ჩენჩი (84), 3:0 პოფერი (90), 4:0 მუფი (90)

ლუცერნი: შილფიკერი, შოდელი, როტა, მალაკარნე, ფოლერი, ანდრეოლი (პოფერი 73), მ. მაიერი, ბრანდი, კ. შვეგლერი, ყაველაშვილი (ჩენჩი 60), მუფი

3 196 მაყურებელი

სენტ გალენი — კრიენსი 6:1; აარაუ — დელემონი 2:0

## გერმანია

### II ბუნდესლიგა

### XXXII ტური

**ფიურტი 2:0 კიოლნი**

1:0 აზუზი (26), 2:0 რაიხელი (82)

*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო, კიოლნელი არჩილ არველაძე სარეზერვო გუნდშია*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 32 | 18 | 11 | 3 | 62:40 | 65 |
| ფრაიბურგი | 31 | 18 | 7 | 6 | 51:27 | 61 |
| ფიურტი | 32 | 15 | 11 | 6 | 52:31 | 56 |
| მაინცი | 31 | 17 | 5 | 9 | 52:33 | 56 |
| აინტრახტი | 31 | 14 | 11 | 6 | 47:29 | 53 |
| ალემანია | 31 | 12 | 9 | 10 | 51:42 | 45 |
| ტრირი | 31 | 13 | 6 | 12 | 50:43 | 45 |
| ლიუბეკი | 31 | 12 | 5 | 14 | 47:43 | 41 |
| ბურგჰაუზენი | 31 | 9 | 13 | 9 | 43:37 | 40 |
| დუისბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 37:41 | 40 |
| უნიონი | 31 | 8 | 15 | 8 | 34:47 | 39 |
| ობერჰაუზენი | 31 | 10 | 7 | 14 | 37:42 | 37 |
| როიტლინგენი | 31 | 10 | 6 | 15 | 35:45 | 36 |
| კარლსრუე | 31 | 8 | 11 | 12 | 31:42 | 35 |
| ალენი | 31 | 8 | 7 | 16 | 40:56 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 31 | 6 | 10 | 15 | 30:49 | 28 |
| ზტ. პაული | 31 | 6 | 9 | 16 | 42:62 | 27 |
| ვალდჰოფი | 31 | 6 | 7 | 18 | 30:62 | 25 |

**ამხანაგური მატჩი**

**აშშ 0:0 მექსიკა**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

Copa Toyota Libertadores 2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები**

კობრელოა (ჩილე) 0:0 უნამი (მექსიკა) (1:0)

გრემიო (ბრაზილია) 3:0 ოლიმპია (პარაგვაი) (3:2)

1:0 რ. ფაბრი (16), 2:0, 3:0 კრისტიანი (20, 49)




# ველური ბანდის აღსასრული

## 12 წლის უიმბლდონი გააშვილეს



რობი ერლი

**ამ კვირიდან** ლონდონში ერთი პროფესიული კლუბით ნაკლები დარჩა. „უიმბლდონი", კლუბი, რომელიც 114-წლიანი ისტორიით იწონებს თავს, სამუდამოდ გამოეთხოვა სამხრეთ ლონდონს და 80 მილის დაშორებით, ბუკინგემშირის საგრაფოს პატარა ქალაქ მილტონ კინსში გადაბარგდა.

თითქოს, რა მოხდა — ჩრდილოამერიკულ კალათბურთსა და ჰოკეიში ამგვარი რამ ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ აქ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე...

სხვა ქალაქში გადაბარგებას 12-წლიანი აქეთ-იქით ხეთქება უძღოდა, რის შედეგადაც „უიმბლდონმა" პოზიციასთან ერთად ქომაგებიც დაკარგა, რომლებმაც ბოლოს სულაც თავი დაანებეს გუნდის საშინაო შეხვედრებზე სიარულს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 12 წლის წინ კლუბის უფროსობამ ახალი სტადიონის აშენება გადაწყვიტა. თავისთავად ურიგო იდეა არ იყო, მაგრამ სულელურად კი მოიქცნენ: ქალაქის თავებს ჯერ მშენებლობის დაწყების ნებართვა არ გაეცათ, რომ „უიმბლდონი" მშობლიური „პლაუ ლეინიდან" აიბარგა და სამხრეთ ლონდონის მეორე გუნდს, „კრისტალ პალასს" ჩაეზიარა სტადიონში.

„კრისტალ პალასისა" და „უიმბლდონის" თანაცხოვრებამ „სელჰერსტ პარკზე" 12 წელი გასტანა და ხუთი დღის წინ დასრულდა, როცა „უიმბლდონმა" უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ამ სტადიონზე, „ბარნლის" 2:1 მოუგო.

„უიმბლდონი"—„ბარნლის" შეხვედრას ქვემოთ კიდევ ვახსენებთ, ახლა კი ვთქვათ, რომ ამ 12 წელიწადში „უიმბლდონს" უამრავი რამ გადახდა თავს: პრემიერლიგაში მეექვსე ადგილზეც გავიდა და იმავ პრემიერლიგიდანაც გავარდა, ოღონდ საკუთარ სტადიონს ეგრეც ვერ ეღირსა. ქალაქის თავებმა კლუბს მშენებლობის ნებართვა არ მისცეს, ადგილი არ არისო და საერთოდაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლონდონში ოდენ ერთი სტადიონია აშენებული — „დენი", რომელზეც „მილუოლი" თამაშობს.

ერთი სიტყვით, „უიმბლდონს" ახალი ვარიანტების ძებნა მოუხდა, არჩევანი კი საკმაოდ მწირი იყო.

მილტონ კინსში გადასვლის ცნობამ „უიმბლდონის" ქომაგები გააცოფა, ამ ქალაქის არჩევის მიზეზი კი მეტად უბრალო იყო: ინგლისში ოთხმოცდაათამდე პროფესიული კლუბია, მილტონ კინსში და მის ახლომახლო კი მათგან არც ერთია დაბანაკებული. ჰოდა, გადაწყვიტეს, იქ წასულიყვნენ.

ეს ჩვენთანაა, რომ ერთი გულშემატკივარი „რეალს" ქომაგობს, მეორე „ბარსელონას", მესამე „მანჩესტერ იუნაიტედს", ინგლისში კი თავისი ქალაქისა და უბნის გუნდის ქომაგობა აქვთ წესად. და როგორღა უნდა უქომაგოს ლონდონელმა კაცმა მილტონ კინსის გუნდს? გულშემატკივართა რეაქციამ არ დააყოვნა — მათ „უიმბლდონს" ზურგი აქციეს.

კლუბის აწ უკვე ყოფილმა გულშემატკივრებმა ახლახან სამოყვარულო „უიმბლდონი" დააარსეს, რომლის თამაშებზეც რამდენიმე ათასი კაცი იკრიბება, ხოლო „უიმბლდონი" — „ბარნლის" ნახსენებ მატჩს... 200 კაცი დაესწრო, რითაც ფეხბურთის ასოციაციაში შემავალ კლუბთა მატჩებზე დასწრების ახალი ანტირეკორდი დამყარდა.

უცნაური ამბავი შეიქმნა კლუბის სახელთან დაკავშირებითაც. „უიმბლდონის" უფროსობას ძველი სახელის შენარჩუნება სურს, ოღონდ ასოციაცია დათანხმდება თუ არა, საკითხავი ეგაა. ამბობენ, ალტერნატიული სახელიც მოფიქრებული აქვთო: „მკ დონი", რაც მილტონ კინსისა და უიმბლდონის ერთგვარი აბრევიატურაა.

შეიძლება ითქვას, „უიმბლდონის" ბედი დღეს ძველ უიმბლდონელებსღა აწუხებთ. მათ შორისაა, რობი ერლი, ვისაც ამ კლუბის სახელით 345 მატჩი ჩაუტარებია. ის იხსენებს:

„90-იან წლებში ისეთი გუნდი ვიყავით, ხალხმა „ველური ბანდა" შეგვარქვა. მართლა ბანდა ვიყავით, არავისი გვეშინოდა და ვისიც გინდა, იმის დამარცხება შეგვეძლო. „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" „ოლდ ტრეფორდზეც" კი მოგვიგია. ამას სულის სიმტკიცე გვაკეთებინებდა. სამწუხაროდ, მილტონ კინსში ასე აღარ იქნება.

ქომაგებთან ჩვენს დამოკიდებულებაზე ლეგენდები დადიოდა. ჩვენი წაგება მათ ნახევარ სიცოცხლეს აკარგვინებდა და ჩვენც სიყვარულით ვპასუხობდით. ბევრ მათგანს სახელებით ვიცნობდით. რამდენჯერ ყოფილა, თამაშის მერე პაბში ერთად წავსულვართ. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ „მანჩესტერის" რომელიმე ვარსკვლავი პაბში გულშემატკივრებთან ერთად წავიდეს?"

90-იანი წლების „უიმბლდონი" პატარა კლუბებისთვის მაგალითის მიმცემი იყო. ისინი ხედავდნენ, რომ მცირებიუჯეტიან კლუბსაც შეძლებია ბობოლათა დამარცხება. ახლა „უიმბლდონი" სხვა მაგალითისთვის თუ გამოდგება.

**ირაკლი ნინიძე**

### ლონდონური კლუბები

*პრემიერლიგაში: „არსენალი", „ტოტენჰემი", „ფულემი", „ჩარლტონი", „ჩელსი", „ვესტ ჰემი"*

*პირველ დივიზიონში: „კრისტალ პალასი", „მილუოლი", „უოტფორდი"*

*მეორე დივიზიონში: „ქუინზ პარკ რეინჯერსი"*

*მესამე დივიზიონში: „ლეიტონ ორიენტი"*

*კონფერენცლიგაში: „ბარნეტი"*

# სისულელეების კონკურსი



ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს მისამართი შეეშალა, კუდიჩინის გაუტანა

**ინგლისურ** პრემიერლიგაში ფეხბურთელები ვეება ხელფასებს იღებენ, კოლეგათა შორის მთელ მსოფლიოში მათზე მდიდარი არავინაა, მაგრამ როგორც სააგენტო „როიტერი" გვამცნობს, კეთილდღეობისა და ფუფუნების მიუხედავად, მოედანზე ისინი ხშირად გვარიან სისულელეებს სჩადიან. ვნახოთ, კერძოდ რა იგულისხმება ამ სისულელეებში:

„ბირმინგემ სიტის" მეკარემ ენდი მერიოტმა, 5 აპრილს, „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" შეხვედრაში მშვიდ გარემოში ბურთი თამამად გააგორა, არ იცოდა, რომ მის უკან მეტოქე რობი კინი იყო ჩარჩენილი. და, როდესაც გალაღებულს შემოურბინეს, ბურთი მოპარეს და კარში შეუგდეს, მერეღა იკბინა თითზე.

„ასტონ ვილას" მეკარემ, პიტერ ენკელმენმა კი 16 სექტემბერს, „ბირმინგემ სიტისთან" მატჩში თანაგუნდელის, ოლოფ მელბერგის ჩაწოდებულ აუტზე დაალო პირი, ფეხი უშნოდ ასწია, ბურთი გაუძვრა და კარში შეუვარდა.

მერე მოჰყათ „ლივერპულის" მეკარის, ირჟი დუდეკის მაგალითი. დეკემბერში „ლივერპულმა" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:2 იმიტომ წააგო, რომ პოლონელმა თანაგუნდელის, ჯეიმი კარაგერის მიერ თავით მიწოდებული ბურთი რაღაცნაირად ფეხებს შორის გაუშვა, რასაც მანჩესტერელი დიეგო ფორლანი გამოეხმაურა — ფეხი ჰკრა და გოლი შეაგდო.



პიტერ ენკელმენმა ფეხი უშნოდ ასწია, ირჟი დუდეკს კი ბურთი აი, როგორ გაუძვრა

თუმცა, სეზონის მთავარი სისულელე მეკარეს კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედის" რაიან გიგზს ჩაუდენია. თებერვალში, სათასო შეხვედრაში გიგზმა „არსენალის" ცარიელ კარს საჯარიმო მოედნის კიდიდან ააცილა.

საუკეთესო ავტოგოლად სააგენტო „არსენალის" მცველის, კოლო ტურეს გოლს ასახელებს, რომელიც სპილოს ძვლის ნაპირელმა „ასტონ ვილასთან" მატჩის დროს გაიტანა საკუთარი კარის ცხრიანში, მისმა თანაგუნდელმა, მარტინ კიოუნმა კი „ბოლტონთან" თამაშისას თავურით დალაშქრა დევიდ სიმენის კარი. ამ ორმა ავტოგოლმა ლონდონელებს ოთხი ქულა დააკარგინა. გთხოვთ, დაამატოთ ეს ოთხი ქულა „არსენალის" მონაგარს და ნახავთ, რომ ტურეს და კიოუნის გამო „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გახდა ჩემპიონი.

ხოლო, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა, რომელიც „ჩელსიში" თამაშობს, 1 მარტს, „ნიუკასლ იუნაიტედთან" შეხვედრაში მეტოქის, ნოლბერტო სოლანოს დარტყმულ ჯარიმას გაფრენილი თავურით მოუძებნა მისი გუნდისთვის სამწუხარო, ხოლო ნიუკასლელთათვის გასახარი გაგრძელება.

ყოველივე ამის შემდეგ კი შეგვიძლია დავასკვნათ: ამქვეყნად დიდძალ ფულს მხოლოდ სრულყოფილნი როდი შოულობენ.

**ბაბუნა ძიძია**



# ლენონს მწვალებლები აწვალებენ



ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილ კაპიტანსა და „სელტიკის" ნახევარმცველ ნეილ ლენონს გუშინწინ თავს დაესხნენ — ფეხბურთელი მსუბუქად დაშავდა და ექიმისთვის არ მიუკითხავს.

მაგრამ აქ ტრავმის სიმძიმე სულაც არაა მთავარი. თავდასხმის წინა დღეს „სელტიკმა" „მოზერუელს" 4:0 მოუგო და სქოთურ პრემიერლიგაში „რეინჯერსს" გადაასწრო. ჰოდა, ბევრს ეგონა, ავაზაკობა „რეინჯერსის" ფანებმა ჩაიდინესო, მაგრამ ეგრე არ ყოფილა.

ლენონი გლაზგოს დასავლეთით მანქანას დააგელვებდა და როცა შუქნიშანთან გაჩერა, მაშინ დასეხნენ თავს. უგუნურები ჯერ სელტიკელის მანქანას აჯანჯღარებდნენ. ლენონის გვერდზე მანდილოსანი მჯდარა, რომელიც მოქანავე მანქანიდან გადმოვიდა და ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ხელი ისე ჰკრა, რომ ძირს განერთხო, ლენონს კი თავში წაუთაქეს.

როგორც ლენონმა გაზეთ „სქოთიშ სანს" განუცხადა, თავდამსხმელები სექტანტები იყვნენ, რომლებიც ზემოთქმულის გარდა მანქანას აფურთხებდნენ და სელტიკელს უშვერად აგინებდნენ.

ლენონი რჯულით კათოლიკე გახლავთ, თანაც მრწამსიანი და პირველად სექტანტები გლაზგოში სამი წლის წინ დაესხნენ თავს, როცა „სელტიკში" ინგლისური „ლესტერიდან" გადავიდა.

შარშან აგვისტოში კი, როცა ლენონი ბელფასტში იყო ირლანდია — კვიპროსის მატჩისთვის, სექტანტებისგან წერილობითი მუქარა მიუვიდა — მოგკლავთო. მწვალებლებმა იმავე შინაარსის მუქარა ლენონის ოჯახის წევრებსაც გაუგზავნეს და ფეხბურთელმაც არჩია, უარი ეთქვა ნაკრებში თამაშზე, მაგრამ ლენონს გლაზგოშიც მიაგნეს...

**დავით თავართქილაძე**

# სიცილიური ამბავი

## ანჩხლმა ბებიანაცვალმა იტალიას ალფრედო დი სტეფანო დაუკარგა

*„მოკრივე არ გახლავართ, მხოლოდ ერთ-ერთი წევრი ვარ გუნდის და ყველანი, ვინც ჩემს გვერდით იყვნენ, ამ წიგნის თანაავტორები არიან“ — წერს ალფრედო დი სტეფანო თავის მემუარებში, რომელსაც „გმადლობთ, ძმაო“ ჰქვია.*

*ახლა დი სტეფანო 75 წლისაა და „რეალის“ საპატიო პრეზიდენტია. დაიბადა ბუენოს აირესში. 23 წლამდე არგენტინაში თამაშობდა. მომდევნო ხუთი წელი იმ დროისთვის განთქმულ კოლუმბიურ კლუბში, „მილიონარიოსში“ გაატარა — 292 მატჩში 259 გოლი გაიტანა. მერე კი, საფეხბურთო საზომით არცთუ ახალგაზრდა ფეხბურთელი „რეალში“ გადაბარგდა, სადაც თავისი კარიერის საუკეთესო 11 წელი გაატარა. ის ჩემპიონთა თასის ხუთგზის მფლობელია და ვერავისგან დაუმხობელი რეკორდიც ეკუთვნის — ამ შეჯიბრებაში 49 გოლი გაიტანა. 1957 და 59 წლებში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სამი ნაკრების ღირსება დაუცავს — არგენტინის, კოლუმბიისა და ესპანეთის.*

*დღეიდან, შაბათობით, ალფრედო დი სტეფანოს ავტობიოგრაფიული წიგნიდან ნაწყვეტებს წარმოგიდგენთ.*





ბუენოს აირესი მე-19 საუკუნის ბოლოს

### ლა ბოკა

ბუენოს აირესის ზღვისპირა უბანში დავიბადე — ლა ბოკაში. არც ერთი ხეირიანი სახლი არ იდგა, მხოლოდ ბარაკები, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ ღარიბთა სახლებს ვალენსიაში. არც არის გასაკვირი. იქ ხომ ყოველკვირა შემოდიოდნენ ემიგრანტებით გაჭედილი გემები. ემიგრანტებიც ქოხებს ისე იშენებდნენ, როგორც ესპანეთში. ეს ქოხები მარცვლეულის შესანახ ამბარებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე საცხოვრებელ სახლებს, კედლებში ღრიჭოები ჰქონდა და შიგ ქარი თავისუფლად დანავარდობდა. აქა-იქ ცოტა უკეთესი სახლებიც გამოერეოდა, გარედან თუთიის ფურცლები რომ ჰქონდა აკრული, მაგრამ ძალიან ძვირი ღირდა და თითო ოროლას ჯიბე თუ გაწვდებოდა. ზღვასთან ახლოს სახლებს კოჭებზე დგამდნენ, წყალს რომ არ დაეტბორა. მაგრამ ეს არ შველოდა, იქ ხშირად ქროდა გრიგალი, რომელიც ზღვას აღელვებდა და ტალღები ბარაკებში იჭრებოდნენ. მოგვიანებით, ძვირადღირებული მილსადენების სისტემა გააკეთეს, რომელიც წყალს საცხოვრებელი სახლებისკენ არ ატარებდა. ამ მილსადენს კანალიზაციისთვისაც იყენებდნენ.

როცა მილსადენის მშენებლობა დაიწყო, მილები, ხალხის მსგავსად ევროპიდან გემებით ჩამოჰქონდათ. კერძოდ, ბარსელონიდან და პორტში მილების უზარმაზარი მთები გროვდებოდა. პორტში ხშირად უფრო მეტი მილი იყო, ვიდრე თოლია. არადა, ლა ბოკას ყურეში უამრავი თოლია დაფრინავდა. ყველაზე გაჭირვებული ემიგრანტები ამ მილებს საცხოვრებლადაც იყენებდნენ. დიდი დიამეტრის მილები იყო და შიგნით შეძვრებოდნენ, თხელ მოსასხამში გაეხვეოდნენ და ეძინათ.

არ ვიცი, ირონიაა, თუ რა: თითოეულ მილზე მისი მწარმოებელი ფაბრაკანტის სახელი ეწერა — ა. ტორანტი. მაწანწალას კი ესპანურად ატორანტი ჰქვია. ჰოდა, ატორანტეებს ა. ტორანტის მილებში ეძინათ.

ემიგრანტები სულ სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ. ესპანელებს კიდევ რა უჭირდათ, ბოლოს და ბოლოს, ერთ ენაზე ვლაპარაკობდით. ყველაზე შავ დღეში არაბები იყვნენ, რომლებმაც დიდი გაჭირვებით ჩააღწიეს ჯერ ბარსელონამდე, მერე გემში ჩასხდნენ და ბედის საძიებლად არგენტინისკენ გამოსწიეს. ვერ ვიხსენებ, რომელიმე მათგანი აქ ბედს სწეოდა.

ემიგრანტთა ასეთმა მოზღვავებამ მთავრობას მათზე ზრუნვა აიძულა და მომდევნო თაობის ემიგრანტები შედარებით უკეთ ცხოვრობდნენ, თუმცა ატორანტე ემიგრანტის სინონიმად კიდევ დიდხანს დარჩა.

### ჩემი წინაპრები

ლა ბოკაში ჩამოსული პირველი დი სტეფანო ბაბუაჩემი მიგელი იყო. მას ძალიან ვუყვარდი. იქამდე ის კაპრიზზე ცხოვრობდა. მამამისთან, ჩემს დიდ ბაბუასთან იჩხუბა და არგენტინაში ამიტომ გადმოსახლდა. ჩემს დიდ ბაბუას დონ ფელიჩიონე ერქვა. სხვათა შორის, დედამისიც დი სტეფანო იყო, ოღონდ ნათესავად არ ერგებოდა — სიცილიური შტოდან იყო.

დონ ფელიჩიონე ძველი ყაიდის კაცი ყოფილა, მბრძანებლობა რომ უყვართ, ისეთი. რას ეძახდნენ ასეთ ადამიანებს? პატრიარქი, თუ კუადილიო. არა, მგონი კასისი ან კაპრალი. სინამდვილეში ის გარიბალდის არმიის გენერალი იყო. ოჯახში დღესაც ინახება გარიბალდის ნაჩუქარი ხმალი. ერთხელ, როცა კაპრიზე ჩაველი, ნათესავებს ჩემთვის, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, იმ ხმლის ჩუქება უნდოდათ. უარი ვუთხარი, ხმალი იქ უნდა დარჩენილიყო, საიდანაც ჩვენი გვარი წამოვიდა.

დონ ფელიჩიონე ცუდი კაცი არ ყოფილა, მაგრამ მეორე ცოლი ანჩხლი ჰყავდა. ბაბუაჩემ მიგელს სწორედ დედინაცვალთან შეექმნა პრობლემა. მაშინ დონ ფელიჩიონემ, რომელსაც რამდენიმე გემი ჰყავდა, რომლებითაც ტვირთი ნეაპოლში გადაჰქონდათ, შვილს ფული მისცა და ამერიკაში გაუშვა.

დონ ფელიჩიონეს მეორე შვილიც ჰყავდა, აგოსტინო. ის იმ გემის კაპიტანი იყო, რომელიც ნეაპოლიდან ბუენოს აირესში დაცურავდა. სხვათა შორის, დონ ფელიჩიონეს ამბებიც აგოსტინოსგან ვიცი, თორემ ბაბუა მიგელს თავის ოჯახზე ლაპარაკი არ უყვარდა.

აგოსტინოს მსგავსად გვარში უამრავი მეზღვაური მყავდა, თუმცა დი სტეფანოებში მკერავები და ექიმებიც იყვნენ. ნათესავებთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია და ხშირად ჩავდივარ კაპრიზე, თუმც ენობრივი ბარიერი გვხვდება. იტალიურად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ როცა ნელა მელაპარაკებიან, მესმის. ჩემი ნათესავები სიცილიურად უქცევენ და მეც ასეთ იტალიურს შევეჩვიე, მაგრამ ვთქვათ, ნეაპოლელებისა არაფერი გამეგება.

როცა ბაბუაჩემი მიგელი ამერიკაში გადასახლდა, 17 წლისა იყო. რაღაც ბიზნესს მოჰკიდა ხელი, მაგრამ საქმეები არ აეწყო და ბუენოს აირესში გადაბარგდა, სადაც იმ დროს მრავლად იყვნენ ჩასულები იტალიელები. პირველი თაობის იტალიელი ემიგრანტები ბაბუაჩემს დიდად დაეხმარნენ. მერე დონ ფელიჩიონემაც გაუგზავნა ფული, რითაც ბაბუაჩემმა ჯერ ერთი ბარკასი, მერე მეორე და მესამეც იყიდა. მახსოვს, ერთ ბარკასს „სწორი მიზანი“ ერქვა, ლა ბოკადან მდინარე პარანას დინების საპირისპიროდ დაცურავდა პარაგვაიში. ათასგვარი საქონელი გადაჰქონდათ.

ამ საქმით ბაბუაჩემმა დიდი ფული იშოვა და ცოლად გენუელი ემიგრანტის ქალიშვილი, ტერეზა ჩიოზა შეირთო. ბებიას და ბაბუას შვიდი შვილი შეეძინათ, ფელიქსი, ანიბალი, ექტორი, ალფრედო (მამაჩემი), ლუიზა, ხუანი და ოსვალდო. ნაბოლარა შვილი ბავშვობაშივე მალარიით დაეღუპათ.





## ლუის არაგონესის მეხუთედ წასვლა

მადრიდის „ატლეტიკოს“ მომდევნო სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი აქეთკენ მიდის. ლუის არაგონესმა ფეხბურთელებს ვარჯიშზე უთხრა, სეზონი დასრულდება და დაგემშვიდობებითო.

ეს ამბავი „ატლეტიკოს“ კაპიტანმა კარლოს აგილერამ გუშინ პრესკონფერენციაზე დაადასტურა: „მწვრთნელმა გვითხრა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და საამისოდ მიზეზებიც ჰქონდა“.

ლუის არაგონესი აქამდე სხვადასხვა დროს, უკვე ოთხჯერ წვრთნიდა „ატლეტიკოს“, მეხუთედ 2001 წელს მივიდა და სეგუნდადივიზიონიდანაც ამოიყვანა. საამსეზონოდ მას გუნდის უეფას თასზე გაყვანა მოსთხოვეს, ერთ ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლო დროს „ატლეტიკოს“ ჩავარდნა დაეწყო და ცხრილშიც მე-12 ადგილზე დაეშვა. თუმც საუეფასთასო იმედი მადრიდელებს ჯერაც არ გადაწურვიათ — სეზონის დასრულებამდე კიდევ ექვსი ტურია, მეექვსე ადგილს კი „ატლეტიკოს“ სამი ქულა აშორებს.

არაგონესის წასვლის მიზეზად კი კლუბის გიჟმაჟ პრეზიდენტთან, ხესუს ხილთან კონფლიქტს ასახელებენ. თუ გახსოვთ, პრიმერადივიზიონის უხუცესი მწვრთნელი ჯერ კიდევ იანვარში ფიქრობდა გადადგომას, როცა ხალხმა ჩვეული ბილწსიტყვაობით საჯაროდ გალანძღა ფეხბურთელები.

**გიორგი დარჯანია**

## ტიგანას პირამიდები ელიან

**ეგვიპტური** გაზეთის, „ალ გომჰურიას“ ცნობით, ქაიროს კლუბს, „ალ აჰლის“ ჟან ტიგანა ჩაუდგება სათავეში. უძლეველი „წითლები“ ბოლო დროს ძლეულნი შეიქნენ, რისი ყველაზე უსიამოვნო დასტური ოდინდელ კონკურენტთან, „ზამალექთან“ მარცხი გახლდათ. „ზამალექთან“ წაგებამ გუნდის ჰოლანდიელ მწვრთნელს, ჯო ბონფრერეს დიდი კრიტიკა დაატეხა თავს და თან, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე „ალ აჰლის“ ლიდერობა ორქულიან უპირატესობამდე დაიყვანა.

„კლუბის გენერალური ზედამხედველი, მაჰმედ ელ ხატიბი ამჟამად ტიგანასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. მოგეხსენებათ, ფრანგი სპეციალისტი ერთი თვის წინ ინგლისურმა „ფულემმა“ თანამდებობიდან დაითხოვა — წერს გაზეთი — რაც შეეხება „ალ აჰლის“ ახლანდელ მწვრთნელს, იგი მიმდინარე სეზონს ჩაამთავრებს.

**პაპუნა ძიძია**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

## იტალია

პაპუნა კედია



სამი ქულა და მთელი ტურინი დღეს ქუჩაში გავა

# დღეს ბებერ ქალბატონს სკუდეტო ხელს სთხოვს

**XXXII ტური**

**დღეს**

| | |
|---|---|
| ემპოლი | ატალანტა |
| კომო | კიევო |
| ბოლონია | ლაციო |
| ბრეშა | მილანი |
| უდინეზე | მოდენა |
| ინტერი | პარმა |
| იუვენტუსი | პერუჯა |
| პიაჩენცა | რეჯინა |
| რომა | ტორინო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 31 | 20 | 8 | 3 | 57:22 | 68 |
| ინტერი | 31 | 18 | 6 | 7 | 58:35 | 60 |
| მილანი | 31 | 17 | 7 | 7 | 50:24 | 58 |
| ლაციო | 31 | 13 | 15 | 3 | 51:29 | 54 |
| კიევო | 31 | 15 | 6 | 10 | 44:33 | 51 |
| პარმა | 31 | 13 | 10 | 8 | 49:33 | 49 |
| უდინეზე | 31 | 13 | 8 | 10 | 32:33 | 47 |
| რომა | 31 | 12 | 9 | 10 | 51:43 | 45 |
| ბოლონია | 31 | 10 | 11 | 10 | 38:40 | 41 |
| პერუჯა | 31 | 10 | 10 | 11 | 36:41 | 40 |
| ბრეშა | 31 | 8 | 14 | 9 | 32:33 | 38 |
| მოდენა | 31 | 9 | 10 | 12 | 27:42 | 37 |
| ემპოლი | 31 | 9 | 9 | 13 | 35:43 | 36 |
| ატალანტა | 31 | 6 | 13 | 12 | 31:45 | 31 |
| რეჯინა | 31 | 8 | 7 | 16 | 32:50 | 31 |
| პიაჩენცა | 31 | 7 | 5 | 19 | 36:55 | 26 |
| კომო | 31 | 3 | 12 | 16 | 25:51 | 21 |
| ტორინო | 31 | 4 | 8 | 19 | 21:53 | 20 |

დღეს თბილისის დროით საღამოს რვა საათისთვის იტალია, ალბათ, ჩემპიონის ვინაობას გამოაცხადებს. კინაღამ ახალი ჩემპიონის ვინაობა წამოგვცდა, მაგრამ ჩემპიონი ახალი აბა, როგორ იქნება, სკუდეტო, როგორც შორიდან ჩანს, ტურინში ჩაბრძანდა, რათა ძველისძველ ნაცნობს, „ბებერ ქალბატონს" ჩაბარდეს ზედიზედ მეორედ, საერთოდ კი ოცდამეშვიდედ. დღეს, „დელე ალპიზე" „იუვენტუსი" — „პერუჯაა".

ამ შეხვედრის გარდა ტურინელებს კიდევ ორი უწევთ, თუმცა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ისინი ჩემპიონობამდე დარჩენილ ერთადერთ გამარჯვებას გადასდებენ, ვფიქრობთ, ცდება. აქ, არც ის არგუმენტი ივარგებს, რომ „იუვე" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში მადრიდის „რეალს" ელის და ამ დიდი დაპირისპირების წინ ძალა აქვს დასაზოგი. პირიქით, სკუდეტოს მოპოვებით გამოწვეული სიხარული „იუვეს" მოთამაშეებისთვის „რეალთან" შეხვედრაში დიდი და საგანგებო სტიმული იქნება. თან, ერთი საზრუნავი წარსულს ჩაბარდება და გამოიკვეთება მკაფიო მიზანი — ჩემპიონთა თასი, რომელიც თითებზე თუ გადავთვლით, ორად ორი თამაშითლაა დაშორებული. ხოლო, ყველაფერ ამას სულაც რომ დავანებოთ თავი, გუნდი, რომელმაც „რეალთან" პირველი შეხვედრის წინაც კი არ დაზოგა ძალა და არც მანამდე, „ბარსელონასთან" დუელს მიუდგა რაიმე განსაკუთრებული თრთოლვით, რაღა დღეს და რაღა „პერუჯასთან" შეიცვლის ზნეს?

„ინტერი", რომელსაც, სიმართლე პირდაპირ რომ ვთქვათ, სკუდეტო აღარ უნდა, „პარმას" მასპინძლობს. რა სკუდეტო, რის სკუდეტო, წინ სამი ტურია და ამ სამ ტურში „იუვე" სამი ქულის მოგროვებას რამენაირად რომ მოახერხებს, განა ამას თქმა უნდა? ანდა, რა სკუდეტო, რის სკუდეტო, როდესაც „ინტერიც" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია და იქ „მილანს" ებრძვის — ფსიქოლოგიურად საქმე ისეა, რომ „ინტერს" უმალ ფინალში წაგებას აპატიებენ, ვიდრე დერბიში, „მილანთან" გავარდნას.

მეორე მხრივ კი, „შავ-ლურჯებმა" მეორე ადგილის შენარჩუნებაზე მაინც უნდა იზრუნონ, მით უფრო, რომ „პარმა" სერიოზულად იბრძოლებს. პარმელების შეტევა ადრიან მუტუსა და ადრიანოს წყვილისგან შედგება — ხომ გახსოვთ, მუტუმ იტალიური კარიერა სწორედ „ინტერში" დაიწყო, „შავ-ლურჯებმა" კი, არ გვინდიხარო და გაყიდეს, ხოლო ადრიანო იურიდიულად სულაც „ინტერის" ფეხბურთელია და მომდევნო სეზონს „სან სიროზე" გაატარებს. „ინტერის" ყოფილი მოთამაშე გახლავთ მეკარე სებასტიან ფრეიც. იგი ჩინებულ ფორმაშია. რაც შეეხება პრობლემას, პარმელებს ასეთი ერთი აქვთ — დაშავებული ჯუზეპე კარდონეს მაგივრად ანტონიო ბენარივო ითამაშებს.

„შავ-ლურჯებს" უბრუნდებათ კრისტიანო ძანეტი, რომელსაც სერია A-ს ორი თამაში გამოატოვებინეს, ხოლო თავდასხმაში ერნან კრესპოს გვერდით ალვარო რეკობას ნაცვლად ობაფემი მარტინსი იქნება.

სანამ „სან სირო" „ინტერს" აქვს დაკავებული, „მილანი" ბრეშას „სტადიო რიგამონტიზე" გააგორებს ბურთს. „ბრეშა" ამ სეზონში გოლიათთა მკვლელის ფუნქციას ასრულებს, ხოლო „მილანი" „ინტერს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

„შავ-წითლებს" უბრუნდებათ ანდრეა პირლო, რომელიც ნახევარდაცვაში კლარენს ზეედორფთან ერთად ითამაშებს, თუმცა, როგორც ამბობენ, კარლო ანჩელოტი „ინტერთან" მომავალი დერბის წინ რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს. რივალდო, მაგალითად, რუი კოშტას ადგილზე, შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის უკან იქნება.

ვინ შეიძლება შეუქმნას „შავ-წითლებს" საფრთხე? ცხადია, დიდმა რობერტო ბაჯომ, რომელიც ჩინებულ ფორმაშია. „ბრეშას" უბრუნდება გრიპმოხდილი მარკუს შოპი, ფრანჩელინო მატუზალემი კი დისკვალიფიცირებულია.

და, ანონსის ბოლოს, „ბოლონიასა" და „ლაციოს" დაპირისპირებაზე შევჩერდეთ. „ბოლონია" არ ვარდება და, თუ ძალიან უნდა, შეუძლია ინტერტოტოს თასისთვისაც კი იბრძოლოს, „ლაციოს" კი დიდი ამოცანა აქვს — მეოთხე ადგილი ანუ მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა.

ეს შეხვედრა განსაკუთრებით ემოციური ჯუზეპე სინიორისთვის გახლავთ. ბოლონიელი ვეტერანი ხომ დიდი ხნის განმავლობაში „ლაციოს" ქომაგთა გმირი იყო, ხულიო კრუზს კი, მოგეხსენებათ, ბიცეპსი გაუწყდა და ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

## ინგლისი

ირაკლი ნინიძე

# შენიშვნელო, მნიშვნელოვანი და ძალიან მნიშვნელოვანი

**XXXVIII ტური**

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ვესტ ჰემი |
| ვესტ ბრომვიჩი | ნიუკასლი |
| ბოლტონი | მიდლსბრო |
| ჩარლტონი | ფულემი |
| ჩელსი | ლივერპული |
| ევერტონი | მანჩესტერი |
| ლიდსი | ასტონ ვილა |
| სიტი | საუთჰემპტონი |
| სანდერლენდი | არსენალი |
| ტოტენჰემი | ბლექბერნი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 24 | 8 | 5 | 72:33 | 80 |
| არსენალი | 37 | 22 | 9 | 6 | 81:42 | 75 |
| ნიუკასლი | 37 | 21 | 5 | 11 | 61:46 | 68 |
| ჩელსი | 37 | 18 | 10 | 9 | 66:37 | 64 |
| ლივერპული | 37 | 18 | 10 | 9 | 60:39 | 64 |
| ევერტონი | 37 | 17 | 8 | 12 | 47:47 | 59 |
| ბლექბერნი | 37 | 15 | 12 | 10 | 48:43 | 57 |
| სიტი | 37 | 15 | 6 | 16 | 47:53 | 51 |
| ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 51:58 | 50 |
| მიდლსბრო | 37 | 13 | 10 | 14 | 47:42 | 49 |
| საუთჰემპტონი | 37 | 12 | 13 | 12 | 42:46 | 49 |
| ჩარლტონი | 37 | 14 | 7 | 16 | 45:55 | 49 |
| ბირმინგემი | 37 | 13 | 8 | 16 | 39:46 | 47 |
| ასტონ ვილა | 37 | 12 | 9 | 16 | 41:44 | 45 |
| ფულემი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:50 | 45 |
| ლიდსი | 37 | 13 | 5 | 19 | 55:56 | 44 |
| ბოლტონი | 37 | 9 | 14 | 14 | 38:50 | 41 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 11 | 16 | 40:57 | 41 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 6 | 7 | 24 | 27:63 | 25 |
| სანდერლენდი | 37 | 4 | 7 | 26 | 21:61 | 19 |

ხვალ ინგლისურ პრემიერლიგაში ყველაფერი საბოლოოდ დალაგებულ-გარკვეული იქნება. გასარკვევი ამბებიდან უმთავრესი და უმეტესი წილი ბოლო ტურამდე გაირკვა. კერძოდ: „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონია; ჩემპიონთა ლიგაში მის გარდა „არსენალი" და „ნიუკასლ იუნაიტედი" ითამაშებენ; „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" და „სანდერლენდი" პირველ დივიზიონში გავარდნენ. გასარკვევი დარჩა: ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე გუნდის ვინაობა, უეფას თასზე გამსვლელი ორი გუნდის ვინაობა (მესამე თასის ფინალისტი „საუთჰემპტონია") და მესამე გავარდნილი გუნდის ვინაობა. ვითარება ისეთია, რომ ბოლო ტურის ათი შეხვედრიდან ხუთს პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული აქვს, სამი თამაში მნიშვნელოვანია და ორიც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს.

მნიშვნელოვანი მატჩებია: „ჩელსი" — „ლივერპული" (გამარჯვებული ლიგაში ითამაშებს), „ევერტონი" — „მანჩესტერი" („ევერტონი" მოგებით უეფას თასზე გადის) და „ბოლტონი" — „მიდლსბრო" (გამარჯვება „ბოლტონს" პრემიერლიგაში ტოვებს).

„ტოტენჰემი" — „ბლექბერნი" სტუმართათვის იმ შემთხვევაში იქნება მნიშვნელოვანი, თუ „ევერტონი" წააგებს ან ფრედ ითამაშებს, ხოლო „ვესტ ჰემისთვის" „ბირმინგემის" დამარცხებას მაშინ მიეცემა ფასი, თუ „ბოლტონი" ვერ მოიგებს.

მნიშვნელოვანი მატჩებიდან უმნიშვნელოვანესით დავიწყოთ: „ჩელსი" — „ლივერპული". ლონდონელებს ფრეც აძლევთ ხელს, თუმც, ცხადია, გოლების გატანას მაინც ეცდებიან. ეს საქმე მენეჯერმა კლაუდიო რანიერიმ ჰოლანდიელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკსა და ისლანდიელ ეიდურ გუდიონსენს დაავალა, ჯანფრანკო ძოლა კი თამაშის დაწყებას სათადარიგოთა სკამზე შეხვდება და მოედანზე აუცილებლობის შემთხვევაში გავა. ლივერპულელთაგან წინა ტურში მიღებული მცირე ტრავმა მოირჩინა სტივენ ჯერარდმა, ფორმაში ჩამდგარა პოლონელი მეკარე ირჟი დუდეკიც, აი, ვლადიმირ შმიცერი კი გუნდს ვერაფრით დაეხმარება, კუნთი აწუხებს. საეჭვოა დიტმარ ჰამანის თამაშიც. დავძინოთ, რომ ვერმოგების შემთხვევაში „ლივერპული" უეფას თასზე ითამაშებს.

შეიძლება „ევერტონს" ფრეც ეყოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ბლექბერნი" ვერ მოიგებს. მაგრამ ბედის სასწორზე შეგდება ჭკვიანური არ არის. მერსისაიდელები უეჭველად მოგებისთვის ითამაშებენ და სასტარტო შემადგენლობაში ეყოლებათ უეინ რუნი, ვინც შეტევაში კევინ კემპბელს შეუწყვილდება. „ევერტონის" წისქვილზე ის გარემოებაც ასხამს წყალს, რომ „მანჩესტერს" აღარაფერი სჭირდება და ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ უგულოდ თამაშობს-ხოლმე.

თეორიულად, შესაძლოა, „ბოლტონი" მოგების შემთხვევაშიც გავარდეს, მაგრამ პრაქტიკულად ეს წარმოუდგენელია. საამისოდ, „ვესტ ჰემმა" ბირმინგემში სულ მცირე 7:0 უნდა მოიგოს. გჯერათ? ალბათ, არა. აი, „ბოლტონს" კი სჯერა გამარჯვებისა, რადგან ჯეი-ჯეი ოკოჩა და იური ჯორკაეფი ჩინებულ ფორმაში ჰყავს. ისიცაა, რომ „ბოროს" ერთბაშად სამი ფორვარდი გამოაკლდა: მაიკლ რიკეტსი, მასიმო მაკარონე და მალკოლმ კრისტი.

„ვესტ ჰემს" კი პარალელურად მიმდინარე თამაშში ცალი ყური ბოლტონისკენ ექნება, თავად კი პაოლო დი კანიოთი გაძლიერებული ეკვეთება „ბირმინგემს". ვინძლო ლეს ფერდინანდმაც ღონივრად გაიქნიოს ფეხი. მაგრამ მაინც რჩება გრძნობა, რომ ტრევორ ბრუკინგის მენეჯერად დანიშვნა, დაგვიანებული იყო.

„ბლექბერნის", პრემიერლიგის სამად სამი ჩემპიონიდან ერთ-ერთის ბედი, როგორც მოგახსენეთ, ამ შეჯიბრების რვაგზის მომგების ხელშია. „მანჩესტერმა" თუ ვერ ივარგა, „ბლექბერნმა" რაც გინდა ქნას, არ ეყოფა. არადა, თუ ასე მოხდა, უჯობთ საკუთარ თავს დააბრალონ — წინა ტურში გავარდნილი „ვესტ ბრომვიჩისთვის" რომ მოეგოთ, ახლა მდევრად თავად კი არა, „ევერტონი" იქნებოდა.



მაიკლ ოუენმა კარლო კუდიჩინის ხვალაც თუ გაუტანა, ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპული" ითამაშებს

## გერმანია

დავით თავართქილაძე



# მაგათის პლეიერი დისკს აქეთ-იქით უკრავს

ფელიქს მაგათმა სულ ცოტა ხნის წინ თქვა, ჩემს ბიჭებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას არ ვაძალებ, რათა ისინი ზედმეტ ზეწოლის ქვეშ არ მოვაქციოო.

გუშინ კი მაგათმა ფირფიტა შეატრიალა და განაცხადა, რომ ჩემს „შტუტგარტს" ჩემპიონთა ლიგა ცხოვლად სურსო. შტუტგარტელებს უეფას თასზე თამაში თითქმის განაღდებული აქვთ და მაგათმაც აქედან შეატრიალა ყველაფერი: „თუ შენ უეფას თასზე თამაშობ, დიდი ხნით ვერაფერს დაგეგმავ, რადგან ერთი წარუმატებელი მატჩის გამო შეიძლება პირველივე ეტაპიდან გავარდე".

მოკლედ, ასე ახსნა „შტუტგარტის" დამრიგებელმა ის, რომ თავისი უწინდელი ნათქვამი გადათქვა.

თანაც „შტუტგარტი" ვალებშია ჩაფლული — კრედიტორების 18,35 მილიონი ევრო მართებს და თუ ლიგაზე მოხვდება, ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში 12 მილიონ ევროს მოიხვეჭს პირველი ეტაპის ექვსს შეხვედრაში.

მაგათის ადრინდელი ნათქვამის გარდა ისიც შეახსენეს, რომ „დორტმუნდისგან" განსხვავებით მის გუნდს უფრო რთული კალენდარი აქვს, რადგან „შტუტგარტს" მიუნხენის „ბაიერნთან" აქვს სათამაშო.

„ხშირ შემთხვევაში ტოპკლუბებთან თამაში უფრო ადვილია, რადგან უფრო მეტი სივრცე გექნება, ვიდრე ტიპიურად მებრძოლ გუნდებთან, რომლებიც დაცვაზე არიან კონცენტრირებულნი" — იყო მაგათის პასუხი, რომლის გუნდიც დღეს ბრემენის „ვერდერს" შეასკდება.

თუ „შტუტგარტის" მდევარი „დორტმუნდი" მესამე ადგილზე დარჩება, ჩემპიონთა ლიგაზე მოსახვედრად ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევს. მათიას ზამერის გუნდს ამ ტურში სახელიანი და ძლევამოსილი მეტოქე არ ჰყავს, მაგრამ „ნიურნბერგისთვის" ეს მატჩი ბუნდესლიგაში დასარჩენად ალბათ ბოლო შანსია.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ბერლინის „ჰერტასაც" შერჩენია, მაგრამ დედაქალაქელები საამისოდ, სულ მცირე, ერთი საფეხურით უნდა აღზევდნენ. „ჰერტა" უკვე გაჩემპიონებულ „ბაიერნს" მასპინძლობს. შეხვედრა იმითაცაა საინტერესო, რომ ბავარიელთა რიგებში შესაძლოა „ჰერტას" ყოფილი ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი გამოჩნდეს — ეს უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელი ტრავმის გამო ზამთრის შესვენების შემდეგ უნდა დამკვიდრებულიყო „ბაიერნის" ძირითადში, მაგრამ რეციდივის გამო მალე ისევ სამკურნალო შეიქნა, დღეს კი იქნებ პირველად ითამაშოს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ.

ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს ჰამბურგში. ჩრდილოელებს „ლევერკუზენისთვის" შინ 1993 წლის მერე არ მოუგიათ, ლევერკუზენელთათვის კი ახლა ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს — სრული უფლება გვაქვს, ეს ჯახი ტურის მთავარ მატჩად მივიჩნიოთ.

თუ „გლადბახმა" შინ „ჰანზა" ვერ დაამარცხა, ვილას უნდა მოუგოს? არადა გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი გავარდნის პირასაა — ერთხელ ფეხის დაცდენაც ვინძლო „ლევერკუზენმა" არ აპატიოს.

„ვოლფსბურგი"—„კაიზერსლაუტერნის" პაექრობა დიდი ვერაფერი ხვითოა, რადგან „ლაუტერნმა", ფაქტობრივად, დააღწია თავი საშიშ ზონას. ერიკ გერეტსის გუნდს ტრავმის გამო ეგვიპტელი მცველი ჰანი რამზი მოაკლდება.

დალხინებულად როდი აქვთ საქმე „არმინიას" და „ბოხუმს", რომლებიც ერთმანეთს ხვალ დაეტაკებიან. „არმინიას" ექვსი დაშავებული ფეხბურთელი მოაკლდება და მათ ვერც მომდევნო ორ შეხვედრაში დაიხმარს. „ბოხუმი" კი ოდენ ორ მცველს მოისაკლისებს — ფრანკ ფარენჰორსტს და მარტინ მაიხელბეკს.

თუ „შალკე" კვლავაც ფიქრობს ევროტურნირებზე, შინ „ჰანოვერს" უნდა მოუგოს, „ჰანოვერი" ბოხუმელთა დარად ორ მცველს ვერ დაიხმარებს — ნეილს უდე კამპუისი და ტომაშ ჰაიტო დისკვალიფიცირებულნი არიან.

თუ კოტბუსელები ვერ მოიგებენ, ბუნდესლიგიდან ორი ტურით ადრე გავარდებიან. მაგრამ შესაძლოა მოიგონ და მაინც გავარდნენ — გააჩნია, როგორ ითამაშებენ მისი კონკურენტები.

ერთის სიტყვით, ამ ტურში ვინძლო ერთი გუნდი უკვე გამორჩება მეორე ბუნდესლიგაში ჩაყუდებას. ძნელად წარმოსადგენია, რომ „კოტბუსმა" არანორმალური შემართებით იბრძოლოს მიუნხენში „1860"-თან.

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მიუნხენ 1860 | — | კოტბუსი |
| დორტმუნდი | — | ნიურნბერგი |
| ჰერტა | — | ბაიერნი |
| შტუტგარტი | — | ვერდერი |
| გლადბახი | — | ჰანზა |
| ჰამბურგი | — | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| შალკე | — | ჰანოვერი |
| არმინია | — | ბოხუმი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 31 | 21 | 6 | 4 | 62:20 | 69 |
| შტუტგარტი | 31 | 16 | 8 | 7 | 50:36 | 56 |
| დორტმუნდი | 31 | 14 | 11 | 6 | 46:25 | 53 |
| ჰერტა | 31 | 15 | 6 | 10 | 47:35 | 51 |
| ჰამბურგი | 31 | 13 | 10 | 8 | 39:34 | 49 |
| შალკე | 31 | 11 | 13 | 7 | 44:36 | 46 |
| ვერდერი | 31 | 14 | 4 | 13 | 47:45 | 46 |
| ვოლფსბურგი | 31 | 12 | 6 | 13 | 35:38 | 42 |
| მიუნხენი | 31 | 11 | 9 | 11 | 39:45 | 42 |
| ლაუტერნი | 31 | 10 | 8 | 13 | 38:38 | 38 |
| ჰანზა | 31 | 10 | 8 | 13 | 32:36 | 38 |
| ბოხუმი | 31 | 10 | 8 | 13 | 47:52 | 38 |
| არმინია | 31 | 8 | 12 | 11 | 34:39 | 36 |
| ჰანოვერი | 31 | 10 | 6 | 15 | 42:55 | 36 |
| გლადბახი | 31 | 9 | 8 | 14 | 34:42 | 35 |
| ლევერკუზენი | 31 | 9 | 7 | 15 | 42:52 | 34 |
| ნიურნბერგი | 31 | 8 | 6 | 17 | 31:53 | 30 |
| კოტბუსი | 31 | 6 | 8 | 17 | 31:59 | 26 |

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# თუ დაიღალა, იქნებ მოვუგოთ

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | — | ალავესი |
| უელვა | — | რეალი |
| მალაგა | — | დეპორტივო |
| ესპანიოლი | — | ოსასუნა |
| ბილბაო | — | ვალიადოლიდი |
| **ხვალ** | | |
| რაიო ვალეკანო | — | ბეტისი |
| სელტა | — | რასინგი |
| ვალენსია | — | ვილიარეალი |
| მალიორკა | — | სოსიედადი |
| სევილია | — | ბარსელონა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 32 | 18 | 10 | 4 | 71:38 | 64 |
| დეპორტივო | 32 | 19 | 6 | 7 | 57:36 | 63 |
| სოსიედადი | 32 | 18 | 9 | 5 | 59:40 | 63 |
| სელტა | 32 | 15 | 8 | 9 | 36:24 | 53 |
| ვალენსია | 32 | 15 | 8 | 9 | 47:26 | 53 |
| მალიორკა | 32 | 12 | 8 | 12 | 42:47 | 44 |
| ბილბაო | 32 | 12 | 8 | 12 | 52:52 | 44 |
| ბარსელონა | 32 | 11 | 10 | 11 | 52:42 | 43 |
| ბეტისი | 32 | 11 | 10 | 11 | 42:44 | 43 |
| მალაგა | 32 | 10 | 13 | 9 | 39:35 | 43 |
| სევილია | 32 | 11 | 9 | 12 | 29:29 | 42 |
| ატლეტიკო | 32 | 10 | 11 | 11 | 44:43 | 41 |
| რასინგი | 32 | 12 | 4 | 16 | 42:49 | 40 |
| ვალიადოლიდი | 32 | 11 | 6 | 15 | 31:34 | 39 |
| ესპანიოლი | 32 | 9 | 10 | 13 | 39:43 | 37 |
| ვილიარეალი | 32 | 9 | 10 | 13 | 30:41 | 37 |
| უელვა | 32 | 8 | 9 | 15 | 33:55 | 33 |
| ოსასუნა | 32 | 8 | 9 | 15 | 29:43 | 33 |
| ალავესი | 32 | 7 | 10 | 15 | 31:55 | 31 |
| რაიო | 32 | 7 | 6 | 19 | 26:55 | 27 |

*თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს*

სეზონის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა, არცთუ ცოტა დრო, მით უფრო, რომ პრიმერადივიზიონის ოცი გუნდიდან ერთიც არაა ისეთი, რამესთვის არ იბრძოდეს.

მაგალითად, „დეპორტივოს" ჩემპიონობა ამოუჭრია გულში. რატომაც არა, მეორე ადგილზეა და ლიდერს ოდენ ერთი ქულით ჩამორჩება. თანაც კარგ ფორმაშია, რის დასტურად იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგო. „დეპორტივოს" წარმატებული სვლა კი მის ჰოლანდიელ ფორვარდს, როი მაკაის უკავშირდება, რომლის ანგარიშზეც გალისიელთა გოლების თითქმის ნახევარია — 27. ამათგან სამი მაკაიმ წინა ტურში „უელვას" გაუტანა. დღეს „დეპორტივო" მალაგაში თამაშობს, მაკაი კი კვლავაც ჩინებულ ფორმაშია. ხავიერ ირურეტა დღეს მაკაის ალბერტ ლუკეს შეუწყვილებს.

მაგრამ ვაგლახ, ლაკორუნიელებს ყველაფერი წესრიგში მაინც არ აქვთ. ტრავმები აწუხებთ და ვერ ითამაშებენ მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა და მცველები, სესარი და ჟორჟე ანდრადე.

„მალაგას" მიზანი კი უეფას თასზე მოხვედრაა და საუეფასთასო ადგილს ერთი ქულით ჩამორჩება. უდანაკარგოდ არც ეს გუნდია: გამთამაშებელი კისიტო მუსამპა დამტვრეულია, ხოლო ურუგვაელი მეგოლე დარიო სილვა დღეიდან ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდას შეუდგება, რაც წინა ტურში „ვილიარეალთან" გაძევებისთვის დაიმსახურა.

„დეპორტივოსთან" თანაბრად მყოფი „სოსიედადი" „მალიორკას" სტუმრობს და დიდი ჯაფაც დაადგება. „მალიორკა" ხომ ის გუნდია, ბოლო ტურებში „დეპორტივოს" 3:0, ხოლო „რეალს" მისსავე „ბერნაბეუზე", 5:1 რომ მოუგო.

ხოლო „რეალს" უელვაში აქვს გასვლა. მადრიდელებს ნაღდად არ ეყოლებათ „იუვენტუსთან" მატჩისას დაშავებული რონალდო, საეჭვოა ლუიშ ფიგუს თამაშიც, სამაგიეროდ, მოსალოდნელიცაა, რაულის დაბრუნება, ვინც, მოგეხსენებათ, ბრმანაწლავის ოპერაცია გაიკეთა. ანდალუზიელებს კი რისი იმედი უნდა ჰქონდეთ? ალბათ იმის, რომ ნაიუვენტუსევს „რეალი" გადაღლილია, მომდევნო კვირაში ტურინში აქვს სათამაშო და „უევო კოლომბინოზე" მთელი ძალით არ ან ვერ ითამაშებს.

დაწინაურებულ სამეულს ქვევით, მეოთხე საჩემპიონთალიგო ადგილისთვის დიდი ბრძოლა აქვთ „სელტას" და „ვალენსიას". ამ ტურში ორივენი შინ თამაშობენ.

ვიგოელები „რასინგს" მასპინძლობენ და ორი უგოლო ფრის მერე ეგვიპტელი ფორვარდის, მიდოს გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. ხოლო „რასინგმა" ხუთმატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ, როგორც ჩანს, გავარდნის საფრთხე აიცილა.

„ვალენსია" კი „ვილიარეალს" დაუხვდება, ბოლოებთან ჯაჯგურით განთქმულ გუნდს, რომელიც „სოსიედადს" ფრეზე გაეყარა, „ბარსელონას" მოუგო, შედარებით სუსტებთან კი სუსტადვე თამაშობს.

დიდი გუნდებიდან „ბარსელონა" დაგვრჩა, რომელიც ხვალ „სევილიას" სტუმრობს. ბოლო სამ ტურში კატალონიელებმა შვიდი ქულა მოიხვეჭეს და საუეფასთასო ადგილს სამ ქულამდე მიუახლოვდნენ. თუმც ამ კვირაში გულის გასატეხი რამ ღაემართათ — კატალონიის თასზე „ტერასასთან" დამარცხდნენ. „ბარსა" სეგუნდადივიზიონის მე-16 ადგილზე მყოფ გუნდს 83-ე წუთამდე 1:0 უგებდა, მაგრამ მიხაელ რაიციგერისგან რიკოშეტით გაუშვა, პენალტების სერიაში კი 2:4 წააგო. ამ მატჩში „ბარსელონას" ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა — მარკ ოვერმარსი შეცვლაზე რამდენიმე წუთის შესული იყო, როცა დაიმტვრა და სევილიაშიც ვერ ითამაშებს.





„დეპორტივოს" ხოსე მოლინა დაუშავდა, „რეალს" რაული მოურჩა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 003 | დორტმუნდი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 004 | ჰერტა-ბაიერნი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 18.30 | 008 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | შალკე-ჰანოვერი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 010 | არმინია-ბოხუმი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 015 | ტრირი-ბრაუნშვაიგი | 2,1 | 3,4 | 2,9 | 1,29 | 1,21 | 1,56 |
| 18.00 | 016 | ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 18.00 | 017 | კარლსრუე-სტ.პაული | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.00 | 018 | ალემანია-ობერჰაუზენი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 23.15 | 019 | ალენი-მაინცი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXX ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 026 | აუე-ფერლი | 1,45 | 3,6 | 5,6 | 1,03 | 1,15 | 2,19 |
| 17.00 | 027 | პადერბორნი-ქემნიცი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.00 | 029 | ოსნაბრიუკი-ვატენშაიდი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 031 | ურდინგენი-მიუნსტერი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 034 | ზაარბრიუკენი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 17.30 | 035 | შვაინფურტი-ლაუტერნი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 17.30 | 037 | ფიულენდორფი-რეგენსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.30 | 038 | დარმშტადი-ელვერსბერგი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.30 | 039 | აალენი-ოფენბახი | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 040 | ზიგენი-კოკერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 043 | ბირმინგემი-ვესტ ჰემი | 3,5 | 3,5 | 1,85 | 1,75 | 1,21 | 1,21 |
| 19.00 | 044 | ბოლტონი-მიდლსბრო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 045 | ჩარლტონი-ფულემი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 046 | ჩელსი-ლივერპული | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 047 | ევერტონი-მანჩესტერი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 048 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 19.00 | 049 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 050 | სანდერლენდი-არსენალი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 19.00 | 051 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 052 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 4,0 | 3,5 | 1,75 | 1,86 | 1,21 | 1,16 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 16.15 | 053 | ნოტინგემი-შეფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.30 | 054 | ვულვერჰემპტონი-რედინგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 055 | კარდიფი-ბრისტოლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 056 | ოლდემი-ქუინზ პარკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 057 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბორნმუთი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია "A". XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| 18.00 | 060 | ბრეშა-მილანი | 3,4 | 2,9 | 2,2 | 1,56 | 1,33 | 1,25 |
| 18.00 | 061 | კომო-კიევო | 4,4 | 3,4 | 1,6 | 1,91 | 1,17 | 1,08 |
| 18.00 | 062 | ემპოლი-ატალანტა | 2,25 | 2,0 | 4,4 | 1,05 | 1,48 | 1,37 |
| 18.00 | 063 | ინტერი-პარმა | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.00 | 064 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 065 | იუვენტუსი-პერუჯა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 066 | პიაჩენცა-რეჯინა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 067 | რომა-ტორინო | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 068 | უდინეზე-მოდენა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია "B". XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 071 | კალიარი-ანკონა | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 23.30 | 072 | ჯენოა-პალერმო | 2,25 | 2,8 | 3,2 | 1,24 | 1,32 | 1,49 |
| 23.30 | 073 | ლივორნო-ვიჩენცა | 2,7 | 2,6 | 2,8 | 1,32 | 1,37 | 1,34 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 106 | ატლეტიკო-ალავესი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 107 | უელვა-რეალი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 23.00 | 108 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 109 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 00.30 | 112 | მალაგა-დეპორტივო | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 111 | სელტა-რასინგი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 22.00 | 110 | მალიორკა-სოსიედადი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.00 | 113 | რაიო-ბეტისი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 114 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 115 | ვალენსია-ვილიარეალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24.00 | 116 | სევილია-ბარსელონა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 117 | ალბასეტე-ტენერიფე | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 21.30 | 118 | სპორტინგი-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 21.30 | 119 | სერესი-ოვიედო | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 00.30 | 120 | ლას პალმასი-კორდობა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | ლეგანესი-ფეროლი | 1,95 | 2,9 | 3,8 | 1,16 | 1,28 | 1,64 |
| 15.00 | 122 | ნუმანსია-სარაგოსა | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 21.00 | 123 | სალამანკა-ლევანტე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,39 | 1,34 |
| 21.00 | 124 | ტერასა-ეიბარი | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 22.00 | 125 | ეხიდო-მურსია | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 21.00 | 126 | ელჩე-ხეტაფე | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1,61 |
| 21.00 | 127 | ბადახოსი-ალმერია | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1,51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.15 | 128 | მონაკო-მონპელიე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 129 | მონაკო-მონპელიე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 130 | სედანი-ბასტია | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.00 | 131 | ნანტი-გენგამი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 132 | ბორდო-ლე ავრი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.00 | 133 | ოსერი-ლილი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 134 | სოშო-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 135 | აიაჩო-ნიცა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 136 | რენი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 137 | ლანსი-ტრუა | 1,3 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,06 | 2,21 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 138 | ლიონი-პსჟ | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 143 | ბოვე-კაენი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 144 | კრეტეი-ვალანსი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.00 | 145 | ისტრი-რეიმსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 146 | ლე მანი-კლერმონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 147 | ლე მანი-კლერმონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 148 | ლორიანი-ამიენი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 149 | ნიორი-შატორუ | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 23.00 | 150 | სტ.ეტიენი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 151 | ვალკეალი-ნანსი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 22.15 | 153 | მორეირენსე-გიმარაეში | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 01.15 | 154 | ბელენენსეში-ბენფიკა | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 155 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 20.00 | 156 | ბრაგა-ნასიონალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 157 | ვარზიმი-სეტუბალი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 21.00 | 158 | სანტა კლარა-აკადემიკა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.30 | 159 | ფერეირა-პორტუ | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 00.30 | 160 | სპორტინგი-ლეირია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 161 | სპორტინგი-ლეირია 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 164 | მადეირა-ალვერკა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 20.00 | 168 | სალგეიროში-რიუ ავე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 165 | ნავალი-ავეში | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 20.00 | 166 | შავეში-კოვილია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 167 | ფარენსე-ოვარენსე | 1,85 | 2,8 | 4,6 | 1,11 | 1,31 | 1,74 |
| 20.00 | 169 | ამადორა-მარკუ | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 21.00 | 170 | მაია-პენაფიელი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 20.00 | 171 | ფელგეირაში-პორტიმონენსე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 175 | ბრედა-უტრეხტი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 22.30 | 176 | პსვ-ექსელსიორი | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 177 | პსვ-ექსელსიორი 0:1 | 1,25 | 4,6 | 5,0 | | | |
| 23.00 | 178 | ტვენტე-ზვოლე | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 179 | ალკმაარი-ტილბურგი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 180 | გრაafსხაპი-ვიტესი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 17.30 | 181 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 182 | ფეიენოორდი-ვალვაიკი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 17.30 | 183 | ნაიმეგენი-აიაქსი | 4,6 | 4,0 | 1,6 | 2,13 | 1,18 | 1,14 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 193 | იგლსი-დენ ჰააგი | 2,9 | 3,5 | 2,15 | 1,58 | 1,23 | 1,33 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 197 | ლუვენ-შარლერუა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.00 | 198 | ვესტერლო-ანტვერპენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.00 | 199 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 200 | სტანდარდი-გენკი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 201 | ბევერენი-მუსკრონი | 2,05 | 3,5 | 3,1 | 1,29 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 202 | ბეერსხოტი-მონსი | 2,05 | 3,4 | 3,2 | 1,27 | 1,24 | 1,64 |
| 23.00 | 203 | ლოკერენი-ბრიუგე | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **საბერძნეთი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 218 | აკრატიტოსი-იანინა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 20.00 | 220 | ირაკლისი-კალითეა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 22.00 | 223 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| | | **ჩეხეთი. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.25 | 227 | ბრნო-სლავია | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 228 | ბანიკი-ბლშანი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 17.00 | 229 | სინოტი-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,0 | 5,0 | 1 | 1,03 | 2,22 |
| 17.00 | 230 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.00 | 231 | ბოჰემიანსი-პრჟიბრამი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 17.00 | 232 | ტეპლიცე-სიგმა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.30 | 233 | სპარტა-იაბლონეცი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 234 | სპარტა-იაბლონეცი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3.6 | | | |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 19.40 | 235 | ლიბერეცი-ჟიჟკოვი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **პოლონეთი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | ზაგლებე-ლეხი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.00 | 241 | რუხი-გარბარნია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 242 | ვისლა-ოდრა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 243 | ლეგია-პლოცკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 244 | ლეგია-პლოცკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.30 | 245 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **თურქეთი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 247 | ადანა-ბეშიქთაში | 5,3 | 3,6 | 1,55 | 2,14 | 1,19 | 1,08 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 248 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 249 | გაზიანთეპი-გიოზთეპე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 250 | დენიზლი-დიარბაქირი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 18.30 | 251 | მალათია-ისთანბული | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 252 | ელაზიგი-ბურსა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 253 | ალთაი-სამსუნი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 254 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 256 | სელტიკი-პარტისი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 19.00 | 257 | დანდი-დანფერმლაინი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 258 | აბერდინი-პარტიკი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 259 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 19.00 | 260 | ლივინგსტონი-დანდი იუნაიტედი | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 261 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 264 | ალოა-სტ.მირენი | 1,6 | 3,8 | 4,2 | 1,12 | 1,15 | 1,99 |
| 19.00 | 265 | კლაიდი-არბროთი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 19.00 | 266 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 19.00 | 267 | როსი-ეარი | 1,5 | 4,0 | 4,8 | 1,09 | 1,14 | 2,18 |
| 19.00 | 268 | სტ.ჯონსტონი-ქუინი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 271 | ბერიკი-სტენჰაუზმუირი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 272 | დამბარტონი-რეითი | 1,8 | 3,6 | 3,2 | 1,19 | 1,15 | 1,69 |
| 19.00 | 273 | ფორფარი-კოუდენბითი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 19.00 | 274 | ჰამილტონი-ბრეჩინი | 2,5 | 2,8 | 2,5 | 1,32 | 1,25 | 1,32 |
| 19.00 | 275 | სტრანრაერი-ერდრი | 2,4 | 3,6 | 2,3 | 1,44 | 1,17 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 278 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1,1 | 5,6 | 11,0 | 1 | 1 | 3,71 |
| 19.00 | 279 | ისტ ფაიფი-ქუინზ პარკი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 19.00 | 280 | ელგინი-სტირლინგი | 3,0 | 3,5 | 2,05 | 1,61 | 1,21 | 1,29 |
| 19.00 | 281 | მონტროუზი-გრეტნა | 2,4 | 3,4 | 2,5 | 1,4 | 1,22 | 1,44 |
| 19.00 | 282 | მორტონი-პიტერჰედი | 2,05 | 3,4 | 3,1 | 1,27 | 1,23 | 1,62 |
| | | **დანია. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 285 | ფარუმი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 286 | კიოგე-მიდტიულანდი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1,24 |
| 18.00 | 287 | ოდენსე-ოლბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 288 | სილკებორგი-ესბიერგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.00 | 289 | ვიბორგი-აკადემისკი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.35 | 290 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 291 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ავსტრია. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 292 | ბრეგენცი-ადმირა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 293 | პაშინგი-კერნტენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 294 | რაპიდი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 295 | ზალცბურგი-ავსტრია | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 296 | გრაცერი-შტურმი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **რუსეთი. VIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 317 | ჩერნომორეცი-ალანია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 318 | როსტსელმაში-მეტალურგი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 17.00 | 319 | რუბინი-ტორპედო | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 17.00 | 320 | დინამო-ზენიტი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 321 | სპარტაკი-შინიკი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **შვედეთი. VI ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 326 | აიკ-ჰალმსტადი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 16.30 | 327 | ენკიოპინგი-იურგორდენი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 16.30 | 328 | ლანდსკრონა-იოსტერი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 329 | სუნდსვალი-ჰამარბი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 330 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 331 | იორებრო-ელფსბორგი | 1,75 | 3,4 | 4,6 | 1,15 | 1,26 | 1,95 |
| | | **ნორვეგია. V ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 335 | ვიკინგი-რუსენბორგი | 3,3 | 3,4 | 2,0 | 1,67 | 1,24 | 1,25 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 336 | სოგნდალი-ბრანი | 1,75 | 3,6 | 3,8 | 1,17 | 1,19 | 1,84 |
| 21.00 | 337 | ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 21.00 | 338 | ლინი-ალესუნდი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| 21.00 | 339 | ბოდიო გლიმტი-ბრინი | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| 23.00 | 340 | მოლდე-სტაბეკი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| | | **12 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 341 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| | | **შვეიცარია. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 351 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2.21 |
| | | **კალათბურთი. იტალია. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 639 | ტრიესტი-სკიპერი | 2,3 | 12,0 | 1,45 | 1,93 | 1 | 1,29 |
| 23.30 | 640 | კალაბრია-როზეტო | 1,3 | 12,0 | 2,6 | 1,17 | 1 | 2,13 |
| 23.30 | 641 | ვარეზე-მილანი | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 23.30 | 642 | ბიელა-ნაპოლი | 1,45 | 12,0 | 2,3 | 1,29 | 1 | 1,93 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | | |
| 18.30 | 2504 | მიუნხენი-კოტბუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2505 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2506 | ჰერტა-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2507 | შტუტგარტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2508 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2509 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2510 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2511 | ბოლონია-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2512 | ბრეშა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2513 | ინტერი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2514 | იუვენტუსი-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2515 | პიაჩენცა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2516 | უდინეზე-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2517 | ატლეტიკო-ალავესი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2518 | უელვა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2519 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2520 | ესპანიოლი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2521 | მალაგა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **11 მაისი** | | | |
| 20.30 | 2523 | შალკე-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2524 | არმინია-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2525 | ჩარლტონი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2526 | ჩელსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2527 | ევერტონი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2528 | ლიდსი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2529 | სიტი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2530 | სანდერლენდი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2531 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2532 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2533 | სელტა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2534 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2535 | რაიო-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2536 | ვალენსია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2537 | სევილია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2404 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 2405 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,15 | 5,0 |
| 18.30 | 2406 | ჰერტა-ბაიერნი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 2407 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 2408 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 2409 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 2410 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2411 | ბოლონია-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 2412 | ბრეშა-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 18.00 | 2413 | ინტერი-პარმა | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2414 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,15 | 5,0 |
| 18.00 | 2415 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2416 | უდინეზე-მოდენა | 1,55 | 2,5 |
| 20.00 | 2417 | ატლეტიკო-ალავესი | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2418 | უელვა-რეალი | 2,8 | 1,45 |
| 23.00 | 2419 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,55 | 2,5 |
| 23.30 | 2420 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,55 | 2,5 |
| 00.30 | 2421 | მალაგა-დეპორტივო | 2,1 | 1,75 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2423 | შალკე-ჰანოვერი | 1,5 | 2,6 |
| 20.30 | 2424 | არმინია-ბოხუმი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2425 | ჩარლტონი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2426 | ჩელსი-ლივერპული | 1,85 | 1,95 |
| 19.00 | 2427 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,95 | 1,85 |
| 19.00 | 2428 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 2429 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2430 | სანდერლენდი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 19.00 | 2431 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 2432 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2433 | სელტა-რასინგი | 1,4 | 3,0 |
| 22.00 | 2434 | მალიორკა-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 22.00 | 2435 | რაიო-ბეტისი | 1,9 | 1,9 |
| 23.00 | 2436 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,3 | 4,0 |
| 24.00 | 2437 | სევილია-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2204 | მიუნხენი-კოტბუსი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2205 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2206 | ჰერტა-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2207 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2208 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2209 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2210 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2211 | ბოლონია-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2212 | ბრეშა-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2213 | ინტერი-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2214 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2215 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2216 | უდინეზე-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2217 | ატლეტიკო-ალავესი | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 2218 | უელვა-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.00 | 2219 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2220 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2221 | მალაგა-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2223 | შალკე-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2224 | არმინია-ბოხუმი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2225 | ჩარლტონი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2226 | ჩელსი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2227 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2228 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2229 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2230 | სანდერლენდი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2231 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2232 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2233 | სელტა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 22.00 | 2234 | მალიორკა-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2235 | რაიო-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 23.00 | 2236 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 24.00 | 2237 | სევილია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 2004 | მიუნხენი-კოტბუსი | 1.8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1.36 | 1,68 |
| 18.30 | 2005 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,5 | 3,2 | 7,0 | 1,02 | 1,23 | 2,19 |
| 18.30 | 2006 | ჰერტა-ბაიერნი | 2,6 | 2,1 | 3.6 | 1,16 | 1.5 | 1,32 |
| 18.30 | 2007 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 18.30 | 2008 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 2.35 | 2.1 | 4.4 | 1,1 | 1.53 | 1,42 |
| 18.30 | 2009 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 18.30 | 2010 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 2,45 | 2.1 | 4.0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 18.00 | 2011 | ბოლონია-ლაციო | 3,5 | 2.0 | 2.9 | 1.27 | 1,58 | 1.18 |
| 18.00 | 2012 | ბრეშა-მილანი | 3.8 | 2,0 | 2,7 | 1,31 | 1,57 | 1,14 |
| 18.00 | 2013 | ინტერი-პარმა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 18.00 | 2014 | იუვენტუსი-პერუჯა | 1.5 | 3,2 | 7,0 | 1,02 | 1,23 | 2,19 |
| 18.00 | 2015 | პიაჩენცა-რეჯინა | 2.5 | 2.05 | 4,0 | 1.12 | 1.53 | 1,35 |
| 18.00 | 2016 | უდინეზე-მოდენა | 2.2 | 2,05 | 5,3 | 1.06 | 1,55 | 1,47 |
| 20.00 | 2017 | ატლეტიკო-ალავესი | 2.1 | 2,15 | 5.3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 22.00 | 2018 | უელვა-რეალი | 5,0 | 2,25 | 2.0 | 1.55 | 1,42 | 1,05 |
| 23.00 | 2019 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 2,2 | 2.1 | 5.0 | 1.07 | 1,52 | 1,47 |
| 23.30 | 2020 | ესპანიოლი-ოსასუნა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 00.30 | 2021 | მალაგა-დეპორტივო | 3.8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 2023 | შალკე-ჰანოვერი | 2.05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 20.30 | 2024 | არმინია-ბოხუმი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 19.00 | 2025 | ჩარლტონი-ფულემი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 19.00 | 2026 | ჩელსი-ლივერპული | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 19.00 | 2027 | ევერტონი-მანჩესტერი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 19.00 | 2028 | ლიდსი-ასტონ ვილა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 19.00 | 2029 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 2030 | სანდერლენდი-არსენალი | 5.0 | 2,25 | 2,05 | 1,55 | 1,45 | 1,07 |
| 19.00 | 2031 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 19.00 | 2032 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 4,8 | 2,15 | 2,2 | 1,48 | 1,5 | 1,08 |
| 21.00 | 2033 | სელტა-რასინგი | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 22.00 | 2034 | მალიორკა-სოსიედადი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 22.00 | 2035 | რაიო-ბეტისი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 23.00 | 2036 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,7 | 2,5 | 6,5 | 1,01 | 1,34 | 1,8 |
| 24.00 | 2037 | სევილია-ბარსელონა | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | |
| 18.30 | 2304 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2305 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,8 | 1.8 |
| 18.30 | 2306 | ჰერტა-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2307 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2308 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2309 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2310 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2311 | ბოლონია-ლაციო | 1,7 | 1.9 |
| 18.00 | 2312 | ბრეშა-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2313 | ინტერი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2314 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,75 | 1.85 |
| 18.00 | 2315 | პიაჩენცა-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2316 | უდინეზე-მოდენა | 1,7 | 1.9 |
| 20.00 | 2317 | ატლეტიკო-ალავესი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2318 | უელვა-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2319 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2320 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2321 | მალაგა-დეპორტივო | 1,7 | 1.9 |
| | | **11 მაისი** | | |
| 20.30 | 2323 | შალკე-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 2324 | არმინია-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2325 | ჩარლტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2326 | ჩელსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2327 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2328 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2329 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2330 | სანდერლენდი-არსენალი | 1,7 | 1.9 |
| 19.00 | 2331 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2332 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 1.7 | 1,9 |
| 21.00 | 2333 | სელტა-რასინგი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2334 | მალიორკა-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2335 | რაიო-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2336 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2337 | სევილია-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2104 | მიუნხენი-კოტბუსი | 2,0 | 10,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2105 | დორტმუნდი-ნიურნბ. | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.30 | 2106 | ჰერტა-ბაიერნი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 2107 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 2108 | მ.გლადბახი-ჰანზა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2109 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 2110 | ვოლფსბ.-კ.ლაუტერნი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2111 | ბოლონია-ლაციო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.00 | 2112 | ბრეშა-მილანი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 2113 | ინტერი-პარმა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 2114 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.00 | 2115 | პიაჩენცა-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2116 | უდინეზე-მოდენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 2117 | ატლეტიკო-ალავესი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2118 | უელვა-რეალი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.00 | 2119 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 2120 | ესპანიოლი-ოსასუნა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 2121 | მალაგა-დეპორტივო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| | | **11 მაისი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2123 | შალკე-ჰანოვერი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.30 | 2124 | არმინია-ბოხუმი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 2125 | ჩარლტონი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 2126 | ჩელსი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 2127 | ევერტონი-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2128 | ლიდსი-ასტონ ვილა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2129 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 2130 | სანდერლ.-არსენალი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 19.00 | 2131 | ტოტენჰემი-ბლექბერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2132 | ვ.ბრომვიჩი-ნიუკასლი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 21.00 | 2133 | სელტა-რასინგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.00 | 2134 | მალიორკა-სოსიედადი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.00 | 2135 | რაიო-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.00 | 2136 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 24.00 | 2137 | სევილია-ბარსელონა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

# ულვაშიანი ჯენტლმენი ოთხმოცისა მოყრილა

ეპითეტების სიმრავლით რომ იწონებოდეს სპორტსმენის დამსახურებანი, ოთარ ქორქია, ალბათ, უპირველესი იქნებოდა. ახალგაზრდობაში, აწ უკვე გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, როცა აქტიურ სპორტს მისდევდა, პარიზში ულვაშიანი ჯენტლმენი შეარქვეს, სხვები მას საბჭოთა კალათბურთის ლიდერად და ვარსკვლავად მოიხსენიებდნენ. მერე, წლები რომ გავიდა, ქართული კალათბურთის ლეგენდა და ბერმუხა უწოდეს. თუმცა, იგი არა მხოლოდ ქართული, მთელი საბჭოთა კალათბურთის ლეგენდად და ბერმუხადაც შეიძლება მოვიხსენიოთ, რაკილა 70-იან წლებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ გამოკითხვის შედეგად ოთარ ქორქია სსრ კავშირის ყველა დროის უძლიერეს კალათბურთელად აღიარეს.

დღეს ეს ლეგენდარული კაცი ოთხმოცისა მოიყარა!

და, რაღა თქმა უნდა, იქნება სტუმრიანობა, სატელეფონო ზარები, მილოცვები, საჩუქრები, შამპანურით სავსე ჭიქების წკრიალი... როგორც ასეთ დროსაა მიღებული, იქნება ინტერვიუები, მოგონებები, ზღვა სიხარულის გახსენება და ნაღველიც.

ერთხელ, როცა ოთარ ქორქიას ჰკითხეს, თქვენი სპორტული კარიერიდან რომელი იყო ყველაზე ტკბილი და რომელი უსიამო მოგონებაო, ვიფიქრე, ერთის ან მეორის პასუხად, ან სულაც ორივეზე ერთად, 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულ ვერცხლის მედალს გაიხსენებდა. ჩემი ვარაუდით, იმ ვერცხლის მედალს მის მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონის სამივე და საკავშირო ჩემპიონატების ამდენივე ოქროს მედალი სხვა ჯილდოებთან ერთად უნდა გადაეწონა. მით უმეტეს, ოთარ ქორქიამ ოლიმპიურ თამაშებზე ბრწყინვალედ ითამაშა, მათ შორის ამერიკელებთან ორივე წაგებულ შეხვედრაში, რომლებშიც მის შეჩერებას ვერაფრით ახერხებდნენ.

პირველი შეხვედრის ერთ ეპიზოდში, როცა ოთარ ქორქია ბურთის ასაღებად დაიხარა, ამერიკელმა კერლენდმა უნებლიეთ მხარში ფეხი ჩაარტყა. ქორქია წაიქცა და ხელის გული გაიხეთქა. დაშავებული ქორქია სარბიელიდან გაიყვანეს და მაშინღა ამოისუნთქეს ამერიკელებმა.

მეორე ტაიმში ხელშეხვეულმა ქორქიამ კვლავ განაახლა ბრძოლა და მასში გარდატეხაც შეიტანა, მაგრამ უკვე ცაციათი მოთამაშემ ბოლომდე ჩვეული ენერგიულობით და ოსტატობით ველარ შეძლო პაექრობა, რის გამოც კვლავ გამოცვალეს.

მერე იყო ოქროსთვის გადამწყვეტი შეხვედრა და ისევ ამერიკელებთან ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი სტეპან სპანდარიანი ასე იხსენებდა.

„...ამ მატჩში, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 30-ე წუთს, როცა ქორქიამ მეოთხე ჯარიმა მიიღო კერლენდზე და მაშინდელი რეგლამენტის თანახმად, იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა. ამერიკელმა კალათბურთელებმა ტაშით გააცილეს ჩვენი გუნდის ლიდერი, რაც მისი ოსტატობის უსიტყვო აღიარებას ნიშნავდა. ამ დროს ანგარიში იყო 23:23. დარჩენილ 10 წუთში ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ერთხელ მოათავსა ბურთი მეტოქის კალათში იმ დროს, როცა ამერიკელებმა 13 ქულის აღება შეძლეს“.





*ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ოთარ ქორქიამ კალათბურთის თამაში დაიწყო ქუთაისში, სადაც დაიბადა. იგი იცავდა ქუთაისის (1943-46 წლები), მერე კი თბილისის „დინამოს“ (1947-58) ღირსებას. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოიპოვა სსრკ ჩემპიონობა (1950, 53, 54) და თასი (1949-50), საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად კი გახდა ევროპის სამგზის ჩემპიონი (1947, 52, 53), ევროპის მაიორანის თასის მფლობელი (1954), მსოფლიო სპორტული თამაშების (1953) გამარჯვებული. ამას გარდა არის საკავშირო ჩემპიონატების მეორე (1947) და მესამე (1948 და 1952 წლები) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მფლობელი (1955); იყო სსრკ ნაკრების კაპიტანი (1953-55); დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1962), ავარჯიშებდა თბილისის „დინამოს“, რომელიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა (1962) და სსრკ ახალგაზრდულ ვაჟთა ნაკრებს, აგრეთვე კამპუჩიის ქალთა და ვაჟთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. 1950 წლიდან არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1967 წლიდან — სსრკ დამსახურებული მწვრთნელი (1967).*



ოთარ ქორქია გუშინ და დღეს

ერთი სიტყვით, ამერიკელებმა ოქროს, საბჭოთა კალათბურთელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ოლიმპიური თამაშების დებიუტანტებისთვის ამ ვერცხლის მედალსაც არანაკლები წონა ჰქონდა, მაგრამ, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ყოველივე, ოთარ ქორქია სარბიელს ბოლომდე რომ შერჩენოდა.

ჰელსინკური ბატალიების მონაწილე მეორე ქართველი კალათბურთელი ნოდარ ჯორჯიკია ამბობს, მგონი, ჭკვიანური თამაშითა და მზადებით გამარჯვება შეგვეძლოო.

„ჭკვიანურ თამაშში და მზადებაში“ უფროს მწვრთნელთა შეცდომებს გულისხმობდა, რაც ჰელსინკამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო, ეს კი გამოიხატებოდა ნაკრების მიღმა რამდენიმე კარგი კალათბურთელის დატოვებაშიც, ოლიმპიადაზე უკვე გადაღლილი გუნდის ჩაყვანაში.

მწვრთნელებმა დატვირთვის დოზირება არ იცოდნენ, — მწარე ღიმილით იხსენებს ნოდარ ჯორჯიკია — ამიტომ ექვსთვიან შეკრებაზე მე და ოთარ ქორქიამ ჭკუა ვიხმარეთ. ვითომ ავად გავხდით და ამიტომ ბოლოს მსუბუქ ვარჯიშს გვაჯერებდნენ...



ჰელსინკური ბატალიები

აი, ამიტომაც მეგონა, რომ ოთარ ქორქიას ყველაზე ტკბილი და მწარე მოგონება ოლიმპიურ თამაშებთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ შევცდი. მისთვის ყველაზე უსიმოდ გასახსენებელი 1955 წლის ევროპის ჩემპიონატში დაკავებული მესამე ადგილი ყოფილა.

— მაშინ, ისე როგორც 1947-52, 53 წლებში, საბჭოთა ნაკრების წევრებს კვლავ ჩემპიონობა შეგვეძლო, მაგრამ ნიკიტა ხრუშჩოვის ხუშტურების გამო ოქროს მედლები ვერ მოვიპოვეთ. იმ წლებში და მანამდეც საბჭოთა კალათბურთის ლიდერებად ბალტიისპირელები და ქართველები ვითვლებოდით. ნაკრებშიც უმეტესობა ჩვენ ვიყავით. ნიკიტას კი დიდად არც ერთნი ვეპიტნავებოდით და არც მეორენი. მისი სიმპათია-ანტიპათიის გამოვლინება ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე დაიწყო და მისი ამგვარი პოლიტიკა ყველა სფეროში იგრძნობოდა. საბჭოთა კალათბურთელთა მაშინდელი ნაკრების უფროსი მწვრთნელი კონსტანტინ ტრავინი ხრუშჩოვის პირდაპირ თუ ირიბ მითითებებს სათანადო გადაწყვეტილებების გარეშე ვერ დატოვებდა და ამიტომაც მანაც გუნდში ძირითადად რუსები მიიწვია, მათზე ძლიერი ბალტიისპირელებიდან და ქართველებიდან ნაკრებში რამდენიმე კაცილა მოვხვდით. არადა, საუკეთესო, ოპტიმალური შემადგენლობით შეგვეძლო ევროპის ჩემპიონობა იმ წელიწადს მეოთხედაც მოგვეპოვებინა.

რაც შეეხება ოთარ ქორქიას სპორტულ კარიერაში ყველაზე სასიამოვნო განცდებს, ეს უკვე პირადად მის თამაშს კი არაა, 1962 წელს ჟენევაში თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვებას უკავშირდება.

მაშინ თბილისის დინამოელებმა, რომლებსაც 1960 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში თამაშის გამოცდილება უკვე ჰქონდათ, ჟენევაში მადრიდის „რეალს“ სძლიეს. იმ შეხვედრას ესწრებოდა ემიგრანტი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც დისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც თბილისელთა თამაშზე თავისი შთაბეჭდილებები აღწერა და მოსაზრებებიც გამოთქვა, ყურადღება ოთარ ქორქიაზეც გაამახვილა.

„გამარჯვების ნახევარი თითქმის გამარჯვებულთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ. ოთარ ქორქიას, ვთქვათ პირდაპირ, მათს სულისჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი. მატჩის დროსაც ამა თუ იმ დარიგებას აძლევდა აღზრდილებს. აღსანიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა“.

ამგვარად, ოთარ ქორქია ჯერ როგორც კალათბურთელი გახდა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, მერე კი როგორც აღმზრდელმა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მოიპოვა, ორივე სარბიელზე ასეთი რეგალიებით კი თავს ბევრი ვერ მოიწონებს.

არადა, ოთარ ქორქიამ ჯერ კიდევ მაშინ, ქუთაისელი ჭაბუკი რომ იყო, ერთი შემთხვევის გამო ლამის კალათბურთს ზურგი შეაქცია, როცა მასში მომავალი ბადროს მტყორცნელი დაინახეს და ვარჯიშიც დააწყებინეს. მართლაც, სულ მალე ბადროს ტყორცნაში მოსწავლეთა საკავშირო რეკორდიც (44მ) დაამყარა. მერე, 1939 წელს როსტოვში საკავშირო პირველობაზეც ყველას აჯობა და რეკორდიც გააუმჯობესა (55მ)

„ბევრს ვყოყმანობდი, მძლეოსნობას გავყოლოდი თუ კალათბურთს. საბედნიეროდ, დავუბრუნდი ჩემს ნამდვილ მოწოდებას, მძლეოსნობა კი თავისებურ გატაცებად დამრჩა, ხოლო კალათბურთისთვის თავი აღარ მიმინებებია“.

არ მიუნებებია და აქ ყველა უმაღლესი ტიტული მოიპოვა, რაც კი მისი თამაშის წლებში არსებობდა. მხოლოდ ოლიმპიურ ოქრომდე დააკლდა ერთადერთი ნაბიჯი, თუმცა, იმ ვერცხლის მედალს ხომ ოქროს ელვარება აქვს.

...დღეს კიდევ ბევრ საინტერესოს გაიხსენებენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ოთარ ქორქიას (მარცხნივ, წინა პლანზე) უდიდესი სიხარული — ევროპის ჩემპიონთა თასით თბილისში დაბრუნება





ქართული კალათბურთის ორი ბერმუხა — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. ნახევარფინალი ორ მოგებამდე





### დინამო 1:0 აზოტი

# არ ითამაშოთ ნერვებზე, ითამაშეთ კალათბურთი!

9 მაისი. ვერის ბაღი

**დინამო 92:70 აზოტი**

26:20, 20:18, 21:21, 25:20

**დინამო:** აბრამიძე, ხოშტარია (27), ბეჟანიშვილი (21), მინაშვილი (20), სიროვინა (2); ჩხეიძე (9), ვენსკუნასი (4), მარკოიშვილი (4), მუპე (3), ნინიაშვილი (1), თორთლაძე
**აზოტი:** ცლენტი (13), ჩაჩუა (2), გოგობერიშვილი (21), ბერუაშვილი (4), ჯაფარიძე (16); ჯიმშელეიშვილი (8), არწივიძე (2), მაჭარაძე (2), ლიპარტელიანი (2), ტყეშელაშვილი, დანელიანი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

რუსთაველები, შესაძლოა, სხვა შედეგს ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელიც არაფერი მომხდარა. მათმა გუნდმა ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩი „დინამოსთან" 22 ქულით წააგო არა იმდენად ცუდი თამაშით, არამედ, როგორც მოედნის, ასევე მაგიდის მსაჯებთან ტრადიციად ქცეული დავის გამო.

ამ ჯერზე კამათი და დავა ჩხუბში არ გადაზრდილა, თუმცა „აზოტისთვის" ხეირი არც მსაჯ ზაზა მაჩალაძესთან კამათს მოუტანია. შესაძლოა, მაჩალაძე გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის მართალი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, ის შეუვალია და მისი პრინციპულობა რუსთაველთა ცხელ გულებს ვერ აგრილებს. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც „აზოტი" აგებს.

„აზოტი" კი მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა. „დინამომ" გუშინ დამსახურებულად იმარჯვა. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული უფრო მომზადებული შეხვდა მატჩს და ყოველგვარი მერყეობის გარეშე დაიწყო თამაში. „აზოტს" კი დრო დასჭირდა გასახურებლად. „დინამომ" თავიდანვე აუჩქარა და ჯერ 5:0, შემდეგ კი 12:2 დაწინაურდა. „აზოტის" მწვრთნელმა თამარ ხმელიძემ მეტოქეს ტემპი ტაიმაუტით დაარღვევინა. რუსთაველები მოედანზე დაბრუნდნენ და ცლენტის და გოგობერიშვილის წყვილი სამქულიანით სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს. „აზოტი" 10:13 წამოეწია მეტოქეს. მართალია, „დინამომ" არ დათმო ინიციატივა და მინაშვილისა და ხოშტარიას შორი და საშუალო სროლებით სულ წინ იყო, მაგრამ თამაშს სპორტული დაძაბულობა სულ ახლდა, ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში, როცა რუსთაველები მართლა თამაშობდნენ. იგრძნობოდა არასპორტული დაძაბულობაც. მეორე მეოთხედის შუაში რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ ტექნიკური მიიღო და ნერვებიც დაიჭირა. „აზოტის" ცენტრმა იმ წუთებში მოახერხა აგრესიის ფარზე გადატანა, პირველი ტაიმის ბოლოს 43:32 ანგარიშზე ბურთი ლამაზად ჩატენა და დროებით დაწყნარდა.

დინამოელები კი აგრძელებდნენ თავიანთ თამაშს და მეორე ტაიმშიც, როცა რუსთაველები მსაჯებს ანამუსებდნენ, ხოლო ტრიბუნებზე მათი გულშემატკივრები ღელდნენ, მაშინაც არ ამოვარდნილან კალაპოტიდან. ისინი ქულებს აგროვებდნენ. დრო კი რამდენჯერმე დაუგეგმავად გაჩერების მიუხედავად იწურებოდა და ბოლო-ბოლო თამაში თბილისელთა 22-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა, დრაგენ ბრაიკოვიჩის შეგირდებმა ამ ჯერზე იოლად აჯობეს თამარ ხმელიძის ბიჭებს. რა მოხდება საპასუხო შეხვედრაში? მეორე თამაში 11 მაისს რუსთავში გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**



რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ „დინამოს" რამდენჯერმე ჩაუტენა

---

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# დეტროიტის პრინცის პრინციპი: ესროლე, როცა გასროლინებენ

8 აპრილი

## აღმოსავლეთი

### დეტროიტი 2:0 ფილადელფია

**დეტროიტი 104:97 ფილადელფია**

ძირითადი დრო 92:92

**დეტროიტი:** ეტკინსი (23), ჰამილტონი (23), კარი (2), რობინსონი (16), ვოლესი (7 ქულა, 15 მოხსნა); პრინსი (20), ბერი (11), ოქური (2), უილიამსონი
**ფილადელფია:** სნოუ (14), აივერსონი (31), ვან ჰორნი (9), ტომასი (15 ქულა, 19 მოხსნა), კოულმენი (12 ქულა, 13 მოხსნა); მაკკი (12), ბაკნერი (2), ჰილი (2), სალმონსი

რაკილა დეტროიტელებს გამორჩეული მექულე არა ჰყავთ, გადამწყვეტი სროლების შესრულება მათგან იმას ევალება, ვისაც წაუვა ხოლმე.

იმ დღეს კვლავ ახალბედა ტაიშონ პრინსს „წაუვიდა".

პრინსმა ძირითადი დროის მიწურულსა და ოვერტაიმის დასაწყისში მიჯრით შვიდი ქულა მოაქუჩა და სტუმართა ზედიზედ მეორედ ძლევაშიც საბედისწერო წვლილი დაიდო.

გამათანაბრებელი ორქულიანი (92:92) ფილადელფიელებს მან მაშინ ჩაუგდო, როცა მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 4,3 წამი იყო დარჩენილი. მანვე მოუნაგრა „პისტონზს" პირველი საოვერტაიმო ხუთი ქულაც (97:92). მისმა ზუსტმა სამქულიანმა კი სტუმართა კალათა ზედ უკანასკნელ წამზე შეარხია.

„ამ გუნდს არა ჰყავს ზევარსკვლავი. ამიტომაც მატჩის მიწურულისკენ ვინც უფრო აჩუბინდება, გადამწყვეტი ბურთის სროლასაც სწორედ მას ანდობენ — იძახდა ის მერე — ამ ჯერზე ეს ჩუბინი კვლავ მე გამოვდექი."

პრინსი კალიფორნიელია და შარშანდელ დრაფტში ის 23-ე ნომრად შეირჩა. რეგულარული სეზონისას მოედანზე გამოსვლის შანსი მას 42 შეხვედრაში მისცეს. მატჩში საშუალოდ 10 წუთს თამაშობდა და საშუალოდვე 3,3 ქულას იხვეჭდა.

„ორლანდოსთან" პირველ საპლეიოფო შეხლაში მას არ უთამაშია, მე-2 და მე-3 მატჩებში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა და, იმის მიუხედავად, რომ ტრეისი მაკგრეიდის რიგიანად ეჭიდავა, „დეტროიტის" თავკაცმა რიკ კარლაილმა არც მეოთხე მატჩში გამოაჩინა.

მას შემდეგ რაც კარლაილს მისდამი უნდობლობისთვის შემოსწყრნენ, პრინსს კვლავ დაერთო მოედანზე გამოსვლის ნება და თუკი მე-5 მატჩში 15 ქულას გამოვიდა, მე-7-ში სულაც 20 ქულა მოკრიფა. ფილადელფიელებთან მეორე შეხლაში მან მოედანზე 39 წუთი დაჰყო...

ამ მატჩში „პისტონსს" არ ჰყავდა კოჭნატკენი ჩონსი ბილაფსი, ვინაც წინა სამ შეხვედრაში 101 ქულა დააგროვა. თუმცა მას წარმატებით ჩაენაცვლა წინა რვა საპლეიოფო შეხლაში ოდენ 23 ქულის მომხვეჭი ჩაკი ეტკინსი. 23 ქულის მოგროვება ატკინსმა ამ ერთ მატჩშივე შეძლო. თავი მან იმითაც გამოიჩინა, რომ ოვერტაიმის დასრულებამდე 2 წუთითა და 7 წამით ადრე სტუმრებს სამქულიანი ბურთი ჩაუგდო, რითაც „დეტროიტი" ოვერტაიმისთვის ხარეკორდოდ — 8:0-ით დააწინაურა.

სტუმრებს ჩვეულებისამებრ ალენ აივერსონი ყოჩობდა. ჭინკამ გუნდს 31 ქულა შემატა, მაგრამ ძირითადი დროის ამოწურვამდე 15,1 წამით ადრე, როცა „ფილადელფია" 92:90 იგებდა, ორი გადამწყვეტი საჯარიმოს სროლისას ნერვები აუკანკალდა.



REUTERS

ტაიშონ პრინსი „დეტროიტს" თეთრცხენიანი პრინცივით გამოუჩნდა

## დასავლეთი

### დალასი 1:1 საკრამენტო

**დალასი 132:110 საკრამენტო**

**დალასი:** ნეში (19), ფინლი (24), გრიფინი (15), ნახერა (6), ნოვიცკი (24 ქულა, 12 მოხსნა); ვან ექსელი (36), ლაფრენცი (8), ბელი, აბდულ-ვაჰადი, ბრედლი, უილიამსი, ეშმეიერი
**საკრამენტო:** ბიბი (9), კრისტი (6), სტოიაკოვიჩი (24), ვებერი (31), დივაცი (2); ჯ. ჯექსონი (12), ბ. ჯექსონი (9), თურქოღლუ (6), პოლარდი (4), ვოლესი (4), ფანდერბურკი (2), კლერკი (1)

„დაიკიდეთ „მეფეები", ისროლეთ და ყველაფერი რიგზე იქნება" — ასე აგულიანებდა სერიის მეორე მატჩის წინ თავისიანებს ნიკ ვან ექსელი.

ეს განწყობა მას არც მას შემდეგ გაბზარვია, რაც რომ პირველ წუთებში „მეფეებმა" 10 ქულით დაწინაურება მოახერხეს.

თავად ვან ექსელმა პირველ ნახევარში ნასროლი 9 ბურთიდან 8 „გაანაღდა", ხოლო უკვე 30 წუთის თავზე პლეიოფებში პირადსარეკორდოდ ბევრი — 36 ქულა მოხიკა.

სწორედ მისი სამი ზედიზედი სამქულიანი იყო მასპინძელთა მიერ მეორე მეოთხედში წამოწყებული დამთრგუნველი მონაკვეთის კატალიზატორიც, მონაკვეთისა, რომლის დროსაც „დალასმა" „საკრამენტოს" 30:7 მოუგო.

ვან ექსელს საუცხოოდ აუბა მხარი დირკ ნოვიცკიმაც, ვინაც ამ წარმატებული მონაკვეთისას 14 ქულა მოაგროვა.

მათ ჯამურ მონაგარს ზორბად შეეწიენ მაიკლ ფინლი და სტივ ნეშიც, რამაც „დალასს" შეაძლებინა გამხდარიყო პირველი გუნდი უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, საპლეიოფო შეხლისას 130-ქულიან თამასას რომ გადასცდა.

სარეკორდო გამოდგა დალასელთა საპირველნახევრო მონაგარიც — 83 ქულა.

სტუმართაგან კვლავ საუკეთესო იყო კრის ვებერი, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოსკენ მან მარცხენა მუხლი დაიშავა და მოედანზე აღარ შებრუნებულა. ითამაშებს თუ არა ის მომდევნო მატჩში, ეგ ჯერ არავინ იცის.

„საკრამენტოს" ასევე დაუშავდა სეზონის საუკეთესო სამარქაფო მოთამაშე ბობი ჯექსონიც, რომლის უახლოესი მომავალიც ასევე ბუნდოვანი ამბავია.

**ლევან ძელაურაძე**

# ჟურნალისტებმა ცქიტიშვილი გამოტოვეს

*ამ დღეებში ოკეანგაღმელმა ჟურნალისტებმა ნბა-ს წინაშე დაკისრებული ვალდებულებები — ეს ვალდებულებები მათ სიამოვნებად უჩანთ — საბოლოოდ მოიხადეს. საკალათბურთო მედიამ დაასახელა 2002-03 წლების სეზონის ბოლო ლაურეატები, შეადგინა ახალბედების და დამცველთა ხუთეულები*

დაცვის პირველ ხუთეულში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა „დეტროიტ პისტონზის" 206-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ბენ ვოლესმა, რომელმაც წლეულსაც დაჩაგრა ლიგის სხვა გამორჩეული მომხსნელები და ზედიზედ მეორედ დასახელდა სეზონის საუკეთესო დამცველად.

ახალბედების ორ ხუთეულში ოთხი არაამერიკელი მოხვდა, პირველში — ჩინელი იაო მინგი და ნიკა ცქიტიშვილის ბრაზილიელი თანაგუნდელი ნენე ილარიო, მეორეში კი ხორვატი გორდან გირიჩეკი და არგენტინელი ემანუელ ჯინობილი. თავად ნიკა ცქიტიშვილს კი ჟურნალისტებმა, გამოკითხვაში გვერდი აუარეს.

**დაცვის პირველი ხუთეული**

დუგ კრისტი (საკრამენტო)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
კევინ გარნეტი (მინესოტა)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ბენ ვოლესი (დეტროიტი)

**დაცვის მეორე ხუთეული**

ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)
ერიკ სნოუ (ფილადელფია)
რონ არტესტი (ინდიანა)
ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო)
შაკილ ონილი (ლეიკერსი)

**ახალბედების პირველი ხუთეული**

კერონ ბატლერი (მაიამი)
დრიუ გუდენი (ორლანდო)
ნენე ილარიო (დენვერი)
ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)
იაო მინგი (ჰიუსტონი)

**ახალბედების მეორე ხუთეული**

ჯეი უილიამსი (ჩიკაგო)
ჯეიარ ბრემერი (ბოსტონი)
ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო)
გორდან გირიჩეკი (ორლანდო)
კარლოს ბუზერი (კლივლენდი)



ნენე ილარიო



იაო მინგი



გორდან გირიჩეკი



ემანუელ ჯინობილი

NHL სტენლის თასი

მეორე წრე. ოთხ მოგებამდე

# ველური დასავლეთში

## მინესოტამ ცოტა მოითმინა და ბევრი მოიგო

8 მაისი

### დასავლეთი

**ვანკუვერი 3:4 მინესოტა**

**ვანკუვერი 2:4 მინესოტა** *0:0 2:1 0:3*

**1:0 ოლუნდი (32), 2:0 ბერტუცი (33), 2:1 დიუპუი (36), 2:2 ულცი (49), 2:3 ჰენდრიკსონი (55), 2:4 დიუპუი (58)**

„ჩვენთვის სიტყვა „მორჩა“ არ არსებობს. მართალია, ანგარიშში ჩამოვრჩებოდით, მაგრამ თამაშით — არა“ — ამაყად განაცხადა მატჩის შემდეგ მინესოტელმა დარბი ჰენდრიკსონმა. უკეთესად ვერავინ ახსნის, ეს ისტორიული სერია რისი წყალობით მოიგო მინესოტამ. მიუხედავად იმისა, რომ „ველურები“ მთელი სერიის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, მუდამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ერთი წამითაც არ კარგავდნენ თავდაჯერებას. არადა, რამდენჯერ შეექმნათ კრიტიკული მომენტი. მოგება ბოლო წუთებზე უსხლტებოდათ ხელიდან. ბოლო შეხვედრაც ხომ სანერვიულო გაუხდათ. როგორია, 36-ე წუთისთვის მეტოქის მოედანზე 0:2 აგებდე. მერე ღმერთმა გადმოხედა „უაილდს“ და შემთხვევითი შაიბით შანსი აჩუქა. მარეკ მალიკიმ ზონიდან შაიბა რომ გადააგდო, მეტოქეს მოხვდა, მერე პასკალ დიუპუის მიუვიდა და მანაც აღარ დააყოვნა. მესამე პერიოდში კი უკვე სულ სხვა მინესოტა წარდგა მოწინააღმდეგის წინაშე. ეს იყო გუნდი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ამ სამაგალითო ერთიანმა ყინმა გატეხა ვანკუვერი. სამივე შაიბა შეწყობილი გუნდური თამაშისა და კარგი კომბინაციების ნაყოფი გახლდათ. მაშ ასე, მინესოტამ ლიგის ისტორიაში პირველმა მოიგო სერია ორჯერ მაშინ, როცა 1:3 აგებდა.

**კონფერენციების ფინალი ოთხ მოგებამდე**

# ნათელი მომავალი თუ რევოლუცია?

*სტენლის თასის გათამაშება კონფერენციების ფინალებს, ანუ საერთო სქემით ნახევარფინალებს მიადგა. თასისთვის ბრძოლას ოთხი გუნდიღა შერჩა. მათგან თუ აღმოსავლურ წყვილს ელიტარული გუნდების მარაქიდან ამოზრდილები ქმნიან, დასავლეთის ფინალში მებრძოლი „მდაბიონი“ გასულან*

### აღმოსავლეთი

**ოტავა (1) — ნიუ ჯერსი (2)**

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +3=0-1

*პლეი ოფში პირველად ხვდებიან*

**მიღწევები:** კონფერენციის ფინალში პირველად გავიდა

**ლიდერები პლეი ოფში:** მარიან ჰოსა (5 გოლი + 7 პასი), დანიელ ალფრედსონი (4+3), მარტინ ჰავლატი (4+4), რადეკ ბონკი (3+5)

**მიღწევები:** თასის ორგზის მფლობელი

**ლიდერები პლეი ოფში:** ჯემი ლანგენბრაუნერი (7+4), ჯონ მედენი (4+7), სკოტ ნიდერმაიერი (2+6), სკოტ გომესი (1+6)

„თუ ლიგს ნათელ მომავალს უსურვებთ, უსურვეთ წარმატება ოტავას“ — ფილადელფიის თავკაცი კენ ჰიჩკოკი ტყუილუბრალოდ არ ისვრის სიტყვებს. იცის, რასაც ამბობს. იგი ჯერ კიდევ იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, რომელიც კანადურმა კლუბმა მოახდინა ფილადელფიასთან სერიაში და ოტაველთა სათამაშო სტილით აღფრთოვანებას არც მალავს. ოტავა არის გუნდი, რომელიც მთლიანად მეტოქის კარის დასალაშქრად არის მობილიზებული. არა, არ გეგონოთ, დაცვაში რაიმე ეშლებოდეთ. მათი ორგანიზებული და უაღრესად დისციპლინირებული უკანა ხაზი სანიმუშოა. თუმც ოტაველთათვის საუკეთესო დაცვა მაინც შეტევაა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ კლუბმა დაძლია პლეი ოფის კომპლექსი და თავის ბევრ ღირსებას სათამაშო სულისკვეთებაც შემატა. უმეტესთა აზრით, ოტავას ჟამი დადგა, თუმც ნიუ ჯერსის არ ესწავლება ასეთი მეტოქეების დამხობა. თუნდაც 1995 წელს ფინალში დეტროიტის დამცირება გაიხსენეთ.

„ეშმაკებს“ ჰყავთ უაღრესად საიმედო მეკარე მარტინ ბროდო და მეტოქის შეცდომების უმოწყალოდ გამოყენებაც ჩინებულად ხელეწიფება.

**„SPORTSLINE“-ის პროგნოზი: ოტავა 6 თამაშში მოიგებს.**

### დასავლეთი

**მინესოტა (6) - ანაჰაიმი (7)**

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=0-2

*პლეი ოფში პირველად ხვდებიან*

**მიღწევები:** კონფერენციის ფინალში პირველად გავიდა

**ლიდერები პლეი ოფში:** მარიან გაბორიკი (9+8), ენდრიუ ბრიუნეტი (6+6), ვეს ულცი (6+6), სერგეი ჟოლტოკი (2+9)

**მიღწევები:** კონფერენციის ფინალში პირველად გავიდა

**ლიდერები პლეი ოფში:** პოლ კარია (3+3), სტივ ტომასი (2+4), მაიკ ლეკლერკი (2+4), რობ ნიდერმაიერი (2+3)

თუ აღმოსავლეთში ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა, დასავლეთში წლეულს ნამდვილი რევოლუცია მოხდა. მინესოტამ და ანაჰაიმმა იმდენი რამ შეძლეს და ისეთი სიურპრიზები შემოგვთავაზეს, რომ მათ პირად დუელში ყველაფერი მოსალოდნელია. არც შედარებას აქვს რაიმე აზრი, რადგან ორივემ დაამსხვრია ყოველგვარი სტერეოტიპი. მინესოტას ლიდერებმა გაცილებით მეტი გოლი და ქულა დააგროვეს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. „მძლავრი იხვების“ მეკარე ჟან სებასტიან ჟიგურის საუცხოო თამაშმა ქომაგებს საშინაო არენა „ჟიგილენდად“ გარდააქმნევინა, მაგრამ მინესოტელთა თავკაცმა ჟაკ ლემერმა უკვე დაამტკიცა, რომ გენიალური ინტუიცია აქვს. მან ხომ ორი არაექსტრა კლასის მეკარისგან ბრწყინვალე კომბინაცია ააწყო (დუეინ როულსონი და მენი ფერნანდესი ხშირად ცვლიან ერთმანეთს და მოვალეობას კარგად ართმევენ თავს). სიტუაცია მოკლედ ასე შეგვიძლია დავახასიათოთ: გარკვეული ის არის, რომ არაფერია გარკვეული.

**„SPORTSLINE“-ის პროგნოზი: ანაჰაიმი 7 თამაშში მოიგებს.**

საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ დაბადების 80 წლისთავს ულოცავს ლეგენდარულ დინამოელ კალათბურთელს ოთარ ქორქიას





ელენა დოკიჩი და ენრიკე ბერნოლდი

# არ დამენახოს!

## ელენა დოკიჩი ბრაზილიელთან გაიპარა

**TELECOM ITALIA MASTERS ROMA**

რომი. თიხნარი

საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

**მესამე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 5:7, 6:0, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:4); როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:1, 6:1; ფელისიან მანტია (ესპანეთი) — ალ კოსტა (7, ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:1; რაინერ შიუტლერი (12, გერმანია) — ირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი) 6:4, 7:6 (7:2); ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — გილერმო კორია (15, არგენტინა) 6:4, 6:3; მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:0, 6:3; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:1, 7:5**

ტურნირს შერჩენილი შვიდი განთესილიდან იმ დღეს კიდევ ოთხი ჩავლავდა. ამათგან ყველაზე მოულოდნელი მაინც მესამე ნომრად განთესილი კარლოს მოიას მარცხი იყო. ნატიფი მალიორკელი ვეტერანმა რუსმა, 26-გზის მეტიტულე ევგენი კაფელნიკოვმა აოტა.

ამ ამბავს მხოლოდ რუსის თავგადაკლული ქომაგები თუ ელოდნენ. მიზეზი გასაგებიცაა — მოია წლეულს ჩინებულ ფორმაშია და 23 თიხნარმატჩიდან მეტოქეებს მხოლოდ ორი შეხვედრა დაანება, თანაც ორგან — ბუენოს აირესსა და ბარსელონაში ტიტულების მოხვეჭაც შეძლო.

მოიას სასარგებლოდვე მეტყველებდა მისი და კაფელნიკოვის აქამდელი შეხლათა ჩამონათვალიც — პირველ ორ მატჩში რუსს ეხეირა, მომდევნო სამი კი მოიას გამარჯვებით დასრულებულიყო.

მაგრამ ესპანელის თულფთა განმჩხრეკნი როგორღაც ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ იმას, რომ შარშანდელთან შედარებით კაფელნიკოვი თიხნარზე წლეულს დასტურ უმჯობესად ირჯება.

ასე, მაგალითად — შარშან მან ნელსაფარზე 16 მატჩი გამართა და მხოლოდ 4 შეხვედრაში იმარჯვა, წლეულს კი მას უკვე 14 მატჩი დაუგროვდა და 5 მარცხის წილ 9 გამარჯვებას მოიძევს.

აკი სწორედ ამაზე საუბრობდა ნამატჩევს თავად რუსიც.

მისი აზრით, თამაშის ხალისი და გამარჯვების შიმშილი მას დეკემბერში ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ დაუბრუნდა, რომლის დროსაც მან დაავადებული ვენის ნაცვლად ჯანში თაზა და ჭაბუკი ვენა ჩაისვა.

კაფელნიკოვი: „სხვა თუ არაფერი, ახლა თიხაზე მაინც ვიგებ. ჩემი ამ თამაშების შემხედვარე, ვინძლო სხვებსაც ვაახსენდეთ, როგორი ჩოგბურთის ჩვენება შეუძლია ქენია კაფელნიკოვს... დღეს ისევე ბედნიერი ვარ, 1996 წელს როლან გაროსის მოგებისას რომ ვიყავი.“

როლან გაროსის ხსენებაზე კი ეგებ თქვენც მოგაგონდეთ — კაფელნიკოვის წარმატებიდან ორიოდე წლის შემდეგ იქ კარლოს მოიასაც გაულაღია.

და კიდევ — 29 წლის სოჭელი რომში წლეულს მეათედ გამოდის და ეს პირველად მოახერხა, მეოთხედფინალის პარმაღზე გადაელაჯებინა. მას ხუთჯერ უთამაშია ამა თუ იმ მასტერსფინალში და — იმის მიუხედავად, რომ კორტს შერჩენილ მეჩოგნეთაგან ერთი ყველაზე ტიტულუხვი კაცია, აქამდე ერთი მასტერსტიტულიც ვერ მოუხაფავს...

სხვაფრივ — იმ დღეს ტურნირს კიდევ ერთი ესპანელი მეროლანგაროსე, პარიზული სეფეთიხნარის შარშანდელი მაოხარი ალ კოსტაც მოაკლეს. კოსტა თვისტომმა, 9-გზის მეტიტულე ფელიქს მანტიამ იმსხვერპლა.

მანტიას გარდა ესპანური არმადის დროშა კვლავ არ დახარა უბასრესმა ვალენსიელმა ხუან კარლოს ფერერომ, ვინაც წლევანდელ 21-ე თიხნარმატჩში უკვე მე-20 გამარჯვება მიითვალა. გვრგვლიანი გასტონ გაუდიოს წამოსაქცევად კოლობიჭს ორსაათნახევარი დასჭირდა.

მასზე უფრო გლაჯუნა სანახავი იყო იმ დღეს (მოიას გავარდნის შემდეგ) მის მთავარმოცილედ შთენილი როჯერ ფედერერი. 21 წლის ბაზელელმა ესპანელ რობრედოს გადაუარა. ეს მისი 34-ე საამსეზონო გამარჯვება გახლდათ.

ადგილობრივ პუბლიკას კი ძალზედ აამა ფილიპო ვოლანდრიმ, რომელიც ანდრეა გაუდენცის შემდეგ გახდა პირველი იტალიელი, რომაული მასტერსბუქნაობის მეოთხედფინალს რომ მიაღწია. გაუდენცი ტურნირს ამ სტადიამდე 1996 წელს შერჩა.

თუკი საამკვირაო რეიტინგსიაში ვოლანდრის მე-100 ადგილი ეკავა, საიმკვიროდ ის უკვე იტალიელთა პირველმეჩოგნეს, 87-ე საფეხურზე მდგომ დავიდე სანგვინეტის გადაუსწრებს და თავად შეიქნება საჩემპიონო მოკვარკაცი.

არადა წლევანდლამდე ვოლანდრის მხოლოდ 7 საეიტიპიო მატჩი ეთამაშა და ხუთი მარცხის წილ ოდენ ორი გამარჯვება დაეკვეხოდა.

**MASTERCARD GERMAN OPEN**

ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1,242 მილიონი $

**მესამე წრე**

**კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 7:5, 6:3; ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — პატი შნიდერი (15, შვეიცარია) 6:2, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — ნატალი დეში (17, საფრანგეთი) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) — ანა პისტოლეზი (16, ისრაელი) 6:3, 6:2; დანიელა პანტუხოვა (7, სლოვაკეთი) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 4:6, 6:4, 7:6 (7:2); იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ელენა დოკიჩი (8, სერბეთი და ჩერნოგორია) 4:6, 6:2, 7:6 (7:0); ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — ელენი დანილიდუ (12, საბერძნეთი) 7:5, 4:6, 6:4; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:4**

ბობოლა ქალებმა იმ დღეს უპრობლემოდ გადიგრიალეს და თუკი რამ მოულოდნელობა მოხდა — ეგ განთესილთა სიის ქვედა არეში.

მოულოდნელობა კი სულ ორი იყო — 18 წლის ვერა ზვონარიოვამ წინა წრეში თავისი აღმატებული თვისტომი მისკინა რომ მოინელა, ამ ჯერზე ნიგუზალივით შავბერძენ დანილიდუს ეძგერა და ისიც მოდრიკა.

ვერა, რომელმაც კარიერის პირველი ტიტული წინა უქმეებზე ხორვატულ ბოლში მოიხვეჭა, ახლა ზედიზედ რვა გამარჯვებას მიითვლის და ისეთ დრანცულა ფორმაშია, ვისაც შეხვდება, ღდინსაც გააცლის!

მეორე მოულოდნელობის ობიექტად კი ისევ მისი რანგისთვის შეუფერებლად ადრე ძლეული ელენა დოკიჩი მოგვევლინა. თუმცა ეს სალუქი სერბგოგო წლეულს ისე ფინჩად ფოხრიკობს, მოულოდნელობა უფრო ის არის, საღმე გაპარპაშებას რომ ახერხებს ხოლმე...

სხვათა შორის — დოკიჩზე სათქმელი სხვაც გვაქვს.

ერთ-ერთ გუშინდელ გაზეთში ელენას ყიამყრალმა მამა დამირმა შვილი ოჯახის ღალატში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ არ უნდა, ის როდესმე კიდევ იხილოს.

საქმე ის არის, რომ ამას წინათ ელენამ შინ ცხოვრებას თავის კაცთან, ბრაზილიელ მეფორმულე ენრიკე ბერნოლდისთან ერთჭერქვეშ ყოფნა არჩია და ოჯახი მიატოვა.

20 წლის გოგომ ამას ისიც მოაყოლა, რომ მამის ნაცვლად მწვრთნელად მეტეფი გრაფის ოდინდელი მგეშავი, შვეიცარიელი ჰაინც გუნტჰარდტი შეირჩია.

და უფრო მეტიც — ამაგდარ მამას მან მის შეხვედრებზე დასწრებაც კი აუკრძალა!

ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ დამირმა ქალიშვილს თვალჟუჟუნა სატრფო დაუწუნა და დღემუდამ მის გინებაში იყო...

აი, ასეთი ვითარებაა დღეს დამირისა და ელენას ორად გახლეჩილ მამაშვილობაში.

ოღონდ — თუკი დამირი ამბობს, რომ უძღები შვილის დანახვაც კი აღარ სურს, ელენა ჰალალად აღიარებს — მას ძალზედ უჭირს უმამოდ ცხოვრება.

**ლევან ძელაურაძე**



# განვედ, პოლიცია

## ბონიდან ლისაბონამდე, ოღონდ იტალიაში

**დღეს კომოში** ველომრბოლები პედლების ტრიალს დაიწყებენ და პირველ ივნისს მილანშიღა გაჩერდებიან — ეს ჯირო იტალიაა, განთქმულობით მეორე ველორბოლა მსოფლიოში, ტურ დე ფრანსის მერე. ამ ოცდასამ დღეში, რომელთაგან მხოლოდ ორია დასვენებისა, ბორბლებზე მოჯირითეები აღმართში, დაღმართსა თუ სწორ გზაზე გაივლიან 3449 კილომეტრს, რაც უტოლდება ვთქვათ, ლისაბონიდან ბონამდე, ჩვენთვის უფრო გასაგებად კი რვაჯერ აღემატება თბილისიდან სოხუმამდე მანძილს.

ექვსი წელია, ჯირო შიდა იტალიურ რბოლად იქცა, რაკილა მას მხოლოდ იტალიელები იგებენ, მაგრამ ეს შეჯიბრება უფრო გაუთავებელი დოპინგ-სკანდალებითაა ცნობილი. ბოლო ოთხი ჯიროდან რეპორტიორები სპორტულ ამბებზე უწინ მრბოლელთა საცხოვრებლებზე პოლიციელთა რეიდების თაობაზე იუწყებოდნენ.

პირველი დიდი სკანდალი 1999 წელს მარკო პანტანის სისხლში რაღაც-რაღაცეების პოვნას მოჰყვა და ტალღაც აგორდა. ორი წლის მერე პოლიციამ უკლებლივ ყველა სპორტსმენს გაუსინჯა ჯიბეები და ჩემოდნები, ცალკე კი ექიმები დასდევდნენ სინჯარებით.

შარშან ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტები, სტეფანო გარძელი და ჯილბერტო სიმონი მოხსნეს რბოლიდან, თუმცაღა მერე სიმონისთვის ბოდიშის მოხდაც დასჭირდათ.

ცხადია, რომ ამ ამბებს ფრიად შეშფოთებული ჰყავს ჯიროს ორგანიზატორები. მათმა უფროსმა კარმინე კატელანიმ დაიჩივლა, ეგებ წელს მაინც შეგვეშვას პოლიცია, ცალკე სპორტსმენებს ანერვიულებენ და ხალხსაც მობეზრდა დოპინგზე გაუთავებელი ლაპარაკი, თითქოს ამ ქვეყანაში მეტი არაფერი იყოს გამოსაძიებელიო.

**ომარ ფოფხაძე**

# ძველთა შეხვედრა

ძველთა საუცხოო თამაშით გახალისდა ხალხი ჰამბურგში, სადაც „გოთფრიდ ფონ კრამის“ საჩოგბურთო თასი გათამაშდა. ერთმანეთს დიადი ამერიკელი ჯონ მაკინროი და დიადი გერმანელი ბორის ბეკერი შეხვდნენ. უფრო ახალგაზრდა ბეკერმა იმარჯვა.





REUTERS ჰამბურგიდან



REUTERS მაიამიდან

# ოსკარი მინაშრმებთან

ოთხი წონის ჩემპიონი კრივში, ამერიკის „ოქროს ბიჭი“ ოსკარ დე ლა ჰოია წარმოშობით მექსიკელი გახლავთ და ყოველივე ლათინური, მათ შორის კი მუსიკაც, მისთვის მეტად ახლობელია. ამიტომაც მისულა ლათინური მუსიკის დაჯილდოების ცერემონიალზე, მაიამიში რომ გაიმართა. იქ თავი მოეყარა ამერიკის ლამის ყველა ესპანურად მოლაპარაკე ვარსკვლავს. ოსკარს კი მეუღლეც პირმშვენიერი ჰყოლია. მილი რქმევია.





REUTERS ოსაკადან

# მზადება ოსაკაში

დღეს ოსაკაში მძლეოსანთა დიდი პრიზისთვის ბრძოლა გაჩურდება და სისწრაფისა და სიჩაუქის ყველა ვარსკვლავი იქაა. 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი ტიმ მონტგომერი (მარჯვნიდან), 400 მეტრზე თარჯრბენის იაპონელი მსოფლიოს რეკორდსმენი დაი ტამესუე, მისი თანაგუნდელი სპრინტერი ნობუჰარუ ასაჰარა, უროს ტყორცნაში მსოფლიოს პირველი კაცი უნგრელი ადრიან ანუში და მისი იაპონელი კოლეგა კოჯი მუროფუში აქ გახლავან. თუმცა ამ შეჯიბრს ჰყავს ერთი საიდუმლო ძალა, ავსტრალიელი პატრიკ ჯონსონი (მარჯვენა ფოტო). ჯონსონი ერთადერთი სპრინტერია, რომელმაც წლეულს 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში, 9.93 წამში გაირბინა. იგი მზადაა, ხელთათმანი ესროლოს მონტგომერისაც და სხვებსაც. იმას არ დავიდევთ, რომ ეს შედეგი ვარჯიშზე უჩვენებია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამარ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge